პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 88 (19829) ხუთშაბათი, 16 აპრილი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

კომკავშირი: აღმშენებლობა, ძიება, შემოქმედება

გაიხსნა საკავშირო ალკკ XX ყრილობა

ქვეყნის კომკავშირის 40 მილიონიანზე მეტი რაზმის წარმომადგენლები შეიკრიბნენ საკავშირო ალკკ XX ყრილობაზე, რომელიც 15 აპრილს გაიხსნა მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში. აქ მოვიდა 4800-ზე მეტი დელეგატი.

10 საათია. ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვს, ბ. ა. ელცინს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, ა. ნ. იაკოვლევს, ს. ლ. სოკოლოვს, ი. ფ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. ა. მედვედევს, ვ. პ. ნიკონოვს, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.

ყრილობა გახსნა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. მირონენკომ.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს: პრეზიდიუმს, სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიებს.

მტკიცდება ყრილობის დღის წესრიგი:

1. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და კომკავშირის ამოცანები სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა შესაბამისად ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაძლიერების საქმეში.

2. საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

3. საკავშირო ალკკ წესდების ცვლილებები.

4. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.

5. საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის არჩევნები.

მოხსენება „საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და კომკავშირის ამოცანები სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა შესაბამისად ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაძლიერების საქმეში“ გააკეთა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. მირონენკომ.

საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ნ. ნ. ...კოვმა.

შემდეგ დაიწყო საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

(საკდესი).

სურათზე: ყრილობის გახსნისას.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი

მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი

საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარეობს დიდი ცვლილებები, ძალას იკრებს პოზიტიური ტენდენციები, სულ უფრო მეტ გაქანებასა და სიღრმეს იძენს იმ სტრატეგიული კურსის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესი, რომლის მიზანია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, საზოგადოების ყველა სფეროს გარდაქმნა და თვისებრივი შეცვლა, და რომელიც შეიმუშავეს ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა და სკკპ XXVII ყრილობამ.

აჩქარებს რა ბრძოლას საზოგადოების გაჯანსაღებისათვის, პარტია ხელმძღვანელობს იმით, რომ ამ უდიდეს მუშაობას სჭირდება ტვინის მტკიცე საძირკველი, ჩამოაყალიბოს მილიონობით მშრომელის შეგნება, შეცვალოს მათი ფსიქოლოგია და აზროვნება გარდაქმნის სულისკვეთებით იდეოლოგიური საქმიანობის ერთ-ერთი ძირეული ამოცანაა. იგი უნდა გამოირჩეოდეს სოციალურ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირით, იდეურ-თეორიული შინაარსის სიღრმით, საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების რეალობათა, მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებათა სრული და ზუსტი გათვალისწინებით, ადამიანებთან სიახლოვით, ალალმართლობით, დასაბუთებულობით, კონკრეტულობით.

ნამდვილად უნდა გავააქტიუროთ იდეოლოგიური მუშაობა ყველა მისი მიმართულებით. პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად უნდა განვახორციელოთ პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნა, გავათავისუფლოთ იგი ფორმალიზმისა და მედავითნეობისაგან, მივანიჭოთ შემოქმედებითი ხასიათი. მან უნდა შეაიარაღოს კომუნისტები, მშრომელები იმ უნარით, რომ პოლიტიკურად მომწიფებულად იაზროვნონ და იმოქმედონ, გაუღვიძოს ცხოველი ინტერესი თეორიული ცოდნისადმი, ასწავლოს პრაქტიკულად მისი გამოყენება, ხელი შეუწყოს სოციალისტური იდეალებისა და სოციალისტური ცხოვრების წესის, შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მოწინავე ფორმების გავრცელებასა და დამკვიდრებას.

I. მარქსისტულ-ლენინური განათლება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პირობებში

მარქსისტულ-ლენინური განათლება კადრების იდეური წრთობის, მშრომელთა პოლიტიკური განათლებისა და აღზრდის, ადამიანის ფაქტორის გაქტიურების ქმედითი საშუალებაა. მისი მნიშვნელობა საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნაში, პიროვნების ფორმირებასა და კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებაში დასტურდება სოციალისტური მშენებლობის მთელი გამოცდილებით. იგი გახდა საბჭოთა ადამიანების სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, მასებთან პარტიის კავშირის უმნიშვნელოვანესი ფორმა.

ამჟამად სწავლებისადმი მოთხოვნები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჩვენი საუკუნის სოციალური ძვრები სახეს უცვლის შემდგომი საზოგადოებრივი განვითარების პირობებს. მოქმედებას იწყებს ახალი ეკონომიკური, პოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, საშინაო და საერთაშორისო ფაქტორები. ამაღლდა მშრომელთა განათლებისა და ინფორმირების დონე. ღრმავდება სოციალისტური დემოკრატიზმი, ვითარდება ხალხის თვითმმართველობა, სულ უფრო მეტად მკვიდრდება სიჯარობა და ალალმართლობა, მიმდინარეობს ღირებულებათა გადაფასება, მათი ახლებური შემოქმედებითი გააზრება, ფართოვდება ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის ახალი მეთოდების ძიება.

ხასიათით არნახულად რთული და თავისი მასშტაბით ისტორიული ამოცანები, ორი მსოფლიო სისტემის იდეური ორთაბრძოლის გამწვავება იწვევს იმის საჭიროებას, რომ არსებითად დავწინაურდეთ მთლიანი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ფორმირებაში, საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური კულტურის ამაღლებაში, შრომით და სოციალური აქტიურობის გადიდებაში.

პოლიტიკური სწავლება და ეკონომიკური განათლება პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა განიხილონ ერთიანობით, მჭიდრო ურთიერთკავშირით. ისინი უნდა ავსებდნენ და ამდიდრებდნენ ერთმანეთს. პოლიტიკური სწავლება ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის საჭიროების ღრმა გაგებას. ეკონომიკური განათლება კი ეხმარება საბჭოთა საზოგადოების სიმწიფის ზრდის, ხალხის სოციალისტური დემოკრატიისა და თვითმმართველობის განვითარების გზებისა და მეთოდების ათვისებას.

საზოგადოების განვითარების ახლანდელ გარდამტეხ ეტაპზე პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლება მოწოდებულია:

გახდეს ქვეყნის რევოლუციური განახლებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ქმედითი ბერკეტი, ეხმარებოდეს პარტიას საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნაში;

ხელს უწყობდეს იმას, რომ მშრომელები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ღრმა დაუფლების საფუძველზე შეგნებულად მონაწილეობდნენ პარტიის პოლიტიკის შემუშავებაში და შემოქმედებითი კითხულნდის ი ერ ი შრომით შეჭქონდეთ პირადი წვლილი მის რეალიზაციაში;

უზრუნველყოფდეს, რომ თითოეულ ადამიანს ესმოდეს მიმდინარე მოქმედების სიმფვავე, აყალიბებდეს ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ აზროვნებას, გარდაქმნიდეს კადრების ფსიქოლოგიას XXVII ყრილობის ნოვატორული მიდგომის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით;

უნერგავდეს თითოეულ ადამიანს უნარს, რომ მკაფიო კლასობრივი, ინტერნაციონალისტ ურ ი პოზიციებიდან აფასებდეს საზოგადოებრივ მოვლენებს, იცავდეს სოციალიზმის იდეალებსა და სულიერ ღირებულებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო პოლიტიკის პრინციპებსა და სტრატეგიას, ჩვენი საქმის ისტორიულ სიმართლეს.

სწავლების არსებული სისტემა ვერ გადაწყვეტს ამ ამოცანებს. იგი მოწყვეტილია ცხოვრებას, ვეებერთელაა, მეტისმეტად რეგლამენტირებულია. სიტყვით აღზრდა ყოველთვის როდი უკავშირდება მასების საქმით, იდეურ-პოლიტიკური გამოცდილებით აღზრდას. მეტი წილი პროპაგანდისტები და მსმენელები არ მიმართავენ პარტიულ დოკუმენტებს, მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ნაწარმოებებს. ცოდნის ქმედითს გაღრმავებას ხელს უშლის ახსტრაქტული განმანათლებლობა და სკოლარულობა. იმის გამო, რომ არ ეწყობა შემოქმედებითი დისკუსიები, გულახდილი აზრთა გაზიარება, არსებითად შემცირდა ინტერესი სწავლისადმი, შეირყა მისი ავტორიტეტი.

ბოლო წლებში მეტად შესუსტდა პარტიული ხელმძღვანელობა იდეოლოგიური მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი უბნისადმი. მრავალი პარტკომი, პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტი და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, მათი მდივნები ზერელედ ეკიდებიან მშრომელთა მარქსისტულ-ლენინურ განათლებას, ეს მუშაობა დაეკისრეს პოლიტიკური განათლების სახლებსა და კაბინეტებს. პირველი მდივნები წლების მანძილზე არ ესწრებიან მეცადინეობებს, არ კითხულობენ, თუ როგორ მიმდინარეობს კადრების პოლიტიკური და თეორიული მომზადება, იდეურ-ზნეობრივი წვრთნა. შემცირებულია სკკპ წესდების მოთხოვნათა შესაბამისად თეორიული დონის ამაღლებისათვის კომუნისტებისადმი პერსონალური მომკითხველობა. საამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების მრავალი ხელმძღვანელი ჩამოშორდა მშრომელთა ეკონომიკური განათლების ორგანიზაციას. ამ მუშაობას განზე უდგანან პარტიული კომიტეტების მდივნები და დარგობრივი განყოფილებები.

დაჩქარების სტრატეგია, ქვეყანაში ახალი იდეურ-ზნეობრივი ატმოსფერო უარღესად სასიკეთო საზოგადოებრივ პირობებს უქმნის პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნას, მისი ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებასა და შედეგიანობის გაძლიერებას.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო ჯორჯ შულცი

14 აპრილს მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო ჯ. შულცი, რომელსაც ამ დღეებში საფუძვლიანი მოლაპარაკება აქვს ნ. ი. რიჟკოვთან და ე. ა. შევარდნაძესთან. სსრ კავშირში შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ვიზიტი მიმდინარეობს ორივე სახელმწიფოს ცხოვრების მეტად პასუხსაგებ მომენტში და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხელმძღვანელობის ახალ საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივებთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირში შულცი მიიღეს ახალი აზროვნების სულისკვეთებით, იმ როლის გათვალისწინებით, რომელსაც ამერიკა ასრულებს და შეუძლია შეასრულოს მსოფლიო პოლიტიკაში, აგრეთვე ამერიკის ადმინისტრაციასთან ურთიერთობის, კონტაქტების, დიალოგის, მათ შორის უმაღლესი დონის დიალოგის შენარჩუნი გამოცდილების სულისკვეთებით.

ჯ. შულცმა მ. ს. გორბაჩოვს გადასცა პრეზიდენტ რ. რეიგანის პირადი წერილი.

გაიმართა გულახდილი, პრინციპული საუბარი, რომელიც აღინიშნა სურვილით სერიოზულად გამოძიებნონ გადაწყვეტები საერთაშორისო ურთიერთობის ძირეულ საკითხებზე. აზრთა გაღრმავებული გაზიარების დროს გამოვლინდა ერთმანეთის პოზიციების მეტი გაგება.

ორი წლის განმავლობაში, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, მრავალი ნაბიჯი გადადგეთ, რომ ამალი ატმოსფერო შეგვექმნა ორი ქვეყნის ურთიერთობაში, დაესახეთ ურთიერთგაგებისა და მორიგებების ახალი შანსები.

არც ერთ წინანდელ ადმინისტრაციას არ ჰქონია ასეთი შანსები. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ არ დაგვინახავს სურვილი, რომ ისარგებლოს ამით ორმხრივი ურთიერთობისა და საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებისათვის. და ყოველ ნაბიჯზე გვიპასუხებდნენ ცდებით გაერთულებინათ, ზოგჯერ კი უბრალოდ ჩაეშალათ საქმე, უკეთეს შემთხვევაში — აპიპარებდნენ დროს ჩვენი ახალი ნაბიჯების მოლოდინში. ღღესდე მოქმედებს მცდარი ფარაუდი, თითქოს საბჭოთა კავშირს უფრო მეტად სჭირდებოდეს დაძაბულობის შენელება და განიარაღება, ვიდრე დასავლეთს. თუ ვიმსჯელებთ სამეცნ., და არა ცალკეულ განცხადებათა მიხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადმინისტრაცია ისე იქცევა, თითქოს ამ ორი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში არაფერი არ მომხდარიყოს და თითქოს მას თავის მხრივ არაფერი გაეკეთებინოს საერთაშორისო სიტუაციის გამოსასწორებლად.

ჯ. შულცი არ დეთანხმა ასეთ შეფასებას. მაგრამ თვით საუბარის მიმდინარეობამ, რომლის ცენტრში იყო განიარაღების საკითხები, დაადასტურა, რომ შეერთებული შტატების ხელმძღვანელობა პრაქტიკულად მზად არ არის იმოქმედოს ენერგიულად, გაიაროს თავისი წილი გზა.

მ. ს. გორბაჩოვმა პირდაპირ დასვა კითხვა: რა ჩამოიტანა ჯ. შულცმა? მზად არის თუ არა ადმინისტრაცია ნამდვილად იღონოს რაღაც დარჩენილ დროში? ჩვენი წინადადება საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ იმის ცდაა, რომ ადმინისტრაციასაც, საკუთარ თავსაც შეუქმნათ უკეთესი პირობები, რომ გადავდგათ დიდი ნაბიჯი, შესაძლოა, ყველაზე ძნელი, მაგრამ ისეთი, რომელიც დასაბამს მისცემს გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტისა და ბირთვული იარაღის შემცირების რეალურ პროცესს.

ჯ. შულცმა განაცხადა, რომ ეთანხმება საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ გადაწყვეტილების რეიკიავიკის ფორმულას, მაგრამ მთელი რიგი შენიშვნები გამოთქვა ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების (500-დან 1000 კილომეტრამდე სიშორის) შესახებ ჩვენი წინადადების გამო, რომელიც სწორედ იმისათვის წამოვაყენეთ, რომ გაგვეთვალისწინებინა დასავლეთ ევროპის წუხილი და გაგვიადვილებინა საშუალო სიშორის რაკეტების საკითხის გადაწყვეტა.

როგორც მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, მზად არის საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ შეთანხმებაში ჩაწეროს საბჭოთა კავშირის ვალდებულება, რომ მოლაპარაკებებს ოპერატიულ-ტაქტიკურ რაკეტებზე ევროპაში. მიუხედავად ამისა, ჯ. შულცი დაეინტერესა მოითხოვდა შეერთებული შტატებისათვის უფლების შექმნას ასეთი იარაღი და განლაგდს იგი დაახლოებით იმ რაოდენობით, რომელიც სსრ კავშირს დარჩება ჩეხოსლოვაკიიდან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან გამოტანილი ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაციის შემდეგ. ამან გაოცება გამოიწვია: გამოდის, რომ, როცა სსრ კავშირი ცალმხრივი წესით დაიწყებს თავის ამ ტიპის რაკეტების განადგურებას, როცა იგი მთელი მსოფლიოს წინაშე მტკიცედ დაფიქსირებს თავის ვალდებულებას ქნას ეს, მაგალითად, წლის განმავლობაში, ამერიკის შეერთებული შტატები დამატებით შეიარაღდება ასეთი რაკეტებით. ეს ეწინააღმდეგება თვით განიარაღების პროცესის აზრს.

ჯ. შულცის ახსნა-განმარტებიდან ცხადი გახდა: ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია თავის ნატოელ მოკავშირეებთან ერთად მზად არ არის ნულამდე დაიშვას ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების საკითხში, რომ მას არა აქვს საბოლოო პოზიცია ამ საკითხში.

ყველაფერი კითხარით, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, იმაზე მეტიც კი, ვიდრე, ალბათ, მოელოდით. ჩვენ უფრო შორსაც მივდივართ, ვიდრე პრაღაში ვთქვით, — მზად ვართ საბრძოლისეული ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაციისათვისაც. მაშ, რისი გეშინიათ? ჩვენ ხომ ვემხრობთ საიმედო შეთანხმებას, რომელსაც უმკაცრესი და ყოვლისმომცველი კონტროლი დაიწყებდა. ეს ნამდვილად დაიწყება ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პროცესი, კონტროლის საკითხში დავიკავებთ უმკაცრეს პოზიციას, მოვითხოვთ შემოწმებასა და ინსპექციას ყველგან — რაკეტების დაშლის ადგილებში, მათი ლიკვიდაციის ადგილებში, პოლიგონებსა და სამხედრო ბაზებში, მათ შორის მესამე ქვეყნებში, საწყობებსა და ჭარხნებში, იმის მიუხედავად, კერძოა ისინი თუ სახელმწიფო.

გაითვალისწინა რა საუბრის დროს გამოთქმული ახალი მომენტები, მ. ს. გორბაჩოვი დეთანხმა იმას, რომ ამერიკელებმა და მათმა მოკავშირეებმა ყველაფერი ეს უნდა გააზრონ. მაგრამ მთავარია იმის გაგება, რომ უაზრობაა დამატებითი შეიარაღების მოთხოვნა, როცა საბჭოთა კავშირი ცალმხრივი წესით დაიწყებს თავისი ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების — ბირთვული იარაღის მთელი კლასის ლიკვიდაციას.

საფუძვლიანად განიხილეს სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების საკითხი. ამ პრობლემის გარჩევამ გამოავლინა, რომ ამერიკელები შორდებიან იმას, რაზეც რეიკიავიკში შეთანხმდნენ, სახელდობრ კი მზადყოფნას — 50 პროცენტით შეამცირონ სტრატეგიული შეიარაღების მთელი ტიპი. მაშინ ამ საკითხში წაიბორძიკეს სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივაზე. ახლა კი ირკვევა, რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის გარდა, გამართულებელ მომენტებად კვლავ გაჩნდა „დონეები“, „ქვედონეები“ და სხვა ასგვარი საბაბი, რომლებიც თითქოს, უკუაგდეს რეიკიავიკში.

რეიკიავიკის პოზიციებიდან უკან დახევა ნათლად ჩანს იმითაც, რომ ახლა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ შეთანხმების რეალიზაციას ამერიკის შეერთებული შტატები უკვე აბორებს არა ხუთი, არამედ შვიდი წლის განმავლობაში. ამასვე მოწმობს ვალდებულებაც არ გამოვიდეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან ათის ნაცვლად შვიდი წლის განმავლობაში.

მ. ს. გორბაჩოვმა მეტად მწვავედ დააყენა ამ ხელშეკრულების შესრულების საკითხი. მიუთებელია იმის დამოწმება, რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის გამო საბჭოთა თითქოს საფრთხეს არ უქმნიან ამ ხელშეკრულების დარღვევას. ჩვენ, გაიგებდა მ. ს. გორბაჩოვმა, ორასდროს არ ვცნობთ ბუნებრივად გამალებული შეიარაღების გადატანას კოსმოსში, თვით სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის იდეა უაღრესად მავნეა. და თუ ამერიკის შეერთებული შტატები გამლის კოსმოსურ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვას, არავითარი შეთანხმება სტრატეგიულ შეტევით შეიარაღებაზე არ იქნება. თუ გვაიძულებთ, პასუხი სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივაზე გვექნება ასიმეტრიული და არა ეუცილებლად კოსმოსიდან და თანაც ეს პასუხი გაიკეთებთ უფრო იაფი დაგვიჯდება. მაგრამ ამის შედეგად წარმოიშობა მეტად საშიში სიტუაცია, და არავითარი ნდობა — არც ჩვენ თქვენდამი, არც თქვენ ჩვენდამი, არ შეიძლება იყოს. ნუთუ უაღრესად პასუხისმგებელ პოლიტიკოსებს შეუძლიათ დაუკავშირონ თავი ასეთ პერსპექტივას — უშიშროების მთელი სისტემის დესტაბილიზაციას, თანაც სწორედ ისეთ მომენტში, როცა არის ბირთვული იარაღის საკითხების გადაწყვეტის რეალური შესაძლებლობა.

ვითვალისწინებთ რა, რომ ადმინისტრაციამ მჭიდროდ დაუკავშირა თავი სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივას, ჩვენ ვეძებთ პრობლემის გადაჭრის გზებს ოღონდ არ ჩავფუშოთ ბირთვული განიარაღების შესახებ მოლაპარაკების პროცესი და მზად ვართ აქაც ვეძიოთ გამოსავალი. ვეთანხმებით რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის დარგში გამოკვლევებს, მაგრამ ლაბორატორიების ფარგლებით შეზღუდულს, ამასთან თანამოსაუბრეს პირველად განუმარტეს, რას გულისხმობს საბჭოთა კავშირი ამით. სახელდობრ, ეს არის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები დედამიწაზე — ისსტიტუტებში, პოლიგონებზე, ჭარხნებში. ორივე ქვეყნის სპეციალისტები კი დასხდნენ, იფიქრონ და შეათანხმონ ამ მოწყობილობათა ნუსხა, რომელთა გაყვანა კოსმოსში ასეთი კვლევის დროს აიკრძალება. ამ ბაზი შეიძლება გადაიჭრას ეს პრობლემა. როგორც ხედავთ, თქვა დასასრულ მ. ს. გორბაჩოვმა, ჩვენ ვეძებთ კომპრომისულ გადაწყვეტებს, მივმართავთ, ასე ვთქვათ, „უკანასკნელ საშუალებას“.

რაც შეეხება ბირთვულ გამოცდებს, დადასტურდა სსრ კავშირის მტკიცე გადაწყვეტილება მიაღწიოს მათ სრულ აკრძალვას სრულმასშტაბიანი მოლაპარაკების დროს. საქმე რომ ადგილიდან დაიძრას, მზად ვართ ერთად შევიმუშაოთ ფორმულა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ 1974 და 1976 წლების შეთანხმებათა რატიფიკაცია, შეეთანხმდეთ აფეთქების სიმძლავრისა და მათი ინკუბის მნიშვნელოვან შემცირებაზე.

განიარაღების პრობლემების განხილვას რომ ამთავრ ე ბ დ ა, მ. ს. გორბაჩოვმა შესთავაზა შეიმუშაონ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისა და ბირთვული გამოცდების „საკანონმდებლო დებულებანი“. საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერასთან ერთად ეს დებულებანი შეიძლება გახდეს **უმაღლესი დონის მორიგების საგანი** და საფუძველი, რომელზეც მომზადდება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის იურიდიულად დამავალდებულებელი შეთანხმებანი. ამ „საკანონმდებლო დებულებების“ შესათანხმებლად და საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულების დასადებად, განაცხადა მ. ს. გორბაჩოვმა, მზად ვართ შეეხვდე შეერთებული შტატების პრეზიდენტს.

მ. ს. გორბაჩოვმა მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას საფუძვლიანად მოიფიქროს განიარაღების ყველა ასპექტი, რომლებსაც შეეხნენ მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებებზე. კიდევ ერთხელ თვალი შეავლოს მთლიანად განიარაღების პროცესს. შესაძლოა არ გვეყოს დრო ხელშეკრულების დასადებად, მაგრამ მისი საფუძვლის ჩაყრა შეგვიძლია. ბევრი შრომაა ჩაქსოვილი მის მომზადებაში და არ უნდა დაეკარგოთ ეს პოლიტიკური მართგანაკეთი.

დანარჩენ საკითხებს შეეხნენ მოკლედ, იმის გათვალისწინებით, რომ მათ საგულდაგულოდ იხილავენ საგარეო საქმეთა მინისტრები. შუცლის ცდები პრეტენზიები წაეყენებინა მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმართ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ნამდვილად აღმაფოთებელი მოქმედების ნივთიერი მტკიცებულობანი. ჯაშუშანის ახლანდელი გაძლიერება ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ პრაქტიკას გაკეკთვნება, რომელიც უკვე ჩვეულებრივი გახდა: ყოველთვის, როცა რაიმე ძვრა შეინიშნება ურთიერთობის გაუმჯობესებაში, მიმართავენ მორიგ ღვარძლიან ანტისაბჭოურ კამპანიას. რაც შეეხება ერთმანეთის შესახებ ინფორმაციას, სწორედ ამისათვის არსებობენ საელჩოები და სხვა კანონიერი ურთიერთდაგენლობანი ქვეყნებში, რომ კარგად და სრულად იცოდნენ ერთმანეთის ამბავი. ამას შემოაკავს სტაბილურობის, წინასწარმეტყველ ებ ი ს ელემენტი, ამცირებს მოუფიქრებელი მოქმედების რისკს. ყველაზე მრავალფეროვანი და სრული ინფორმაცია საშუალებას იძლევა შემუშავდეს ნამდვილად რეალური პოლიტიკა ისე, რომ ზიანი არ მიადგეს მეორე მხარეს.

შეეხნენ „ადამიანის უფლებათა“ თემას, განსაკუთრებით ემიგრაციის უფლებას. ყველაფერს, რაც კანონიერი და ჰუმანურია, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, განვიხილავთ და დადებითად გადაეწყვეტით. საერთოდ რომ ვთქვათ, ისე ვიზამთ, რომ ისინი, ვინც ჩვენთან უკმაყოფილია თავისი ქვეყნით, კმაყოფილი გახდნენ. იმედი მაქვს, რომ თქვენც შეერთებულ შტატებში რაიმეს იღონებთ, რომ მილიონობით თქვენმა მოქალაქემ უკეთ იცხოვროს.

აქციებს კი, განსაკუთრებით როცა ისინი ხორციელდება მალალი რანგის ადამიანთა დონეზე, რომლებიც სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევას ესახლერება, ჩვენ უარვყოფთ. ისინი ხელს არ უწყობენ პრობლემების გადაჭრას.

რაც შეეხება რეგიონალურ კონფლიქტებს, ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ისინი მიაჩნიათ მუდმივ რეზერვად კონფრონტაციის, ძალისმიერი პოლიტიკისა და ანტისაბჭოური პროპაგანდის დონის მანევრირებისათვის. თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ ჩვენს ურთიერთობას მეტად სერიოზული გამოცდა მოელის. მიგვაჩნია, რომ რეგიონალური კონფლიქტები არ შეიძლება გადავაქციოთ ორი სისტემის, განსაკუთრებით, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონფრონტაციის პოლიტიკად. ჩვენ არ ვაუბრალოებთ სიტუაციას: განვითარდა სამყაროში. იქ ძალიან ბევრი სერიოზული პრობლემა დაგროვდა. ჩვენ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ დაირღვეს და შეირყეს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობა. მზად ვართ ურთიერთობა ავაგოთ რეალისტურ ბაზაზე, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, ისინი კი მარტო შეერთებულ შტატებს და საბჭოთა კავშირს როდი აქვთ. უნდა გამოვძებნოთ ინტერესების ბალანსი, და ეს ბალანსი ისევე იცვლება, როგორც ისტორიის დროს იცვლება თვით ეს ინტერესები.

ჩვენ სულაც არა ვართ იმის მომხრე, რომ უგულებელყოთ შეერთებული შტატების კანონიერი ინტერესები, მაგრამ ჩვენ თანახმანი არა ვართ, როცა მსოფლიოს ან მის ცალკეულ რაიონებს საკუთარ სამფლობელოდ მიიჩნევენ.

ჩვენ არ ვაპირებთ ჩხუბის პოლიტიკა განვახორციელოთ შეერთებული შტატების მიმართ. უარვყოფთ მანიერ პრინციპს, რომლის თანახმად — რაც უფრო უარესია საბჭოთა კავშირისათვის, მით უფრო უკეთესია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, და პირიქით. უნდა გადავაბიჯოთ ძველ სტერეოტიპებს. ჩვენი ორი ქვეყნის პასუხისმგებლობა მსოფლიოს წინაშე მეტად დიდია. არ შეიძლება თანამედროვე პრობლემები დაგიჭრას ჩერჩილის მიერ ფულტონში წარმოთქმული სიტყვისა და ტრუმენის დოქტრინაზე დაფუძნებული მიდგომის მეშვეობით. ვიწყვევთ შეერთებულ შტატებს ვეფიქროთ იმაზე, რომ დროა გარდაიქმნას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა, ვიფიქროთ, როგორ ვიცხოვროთ მომავალში, როგორ შევუწყოთ ხელი მთელი საერთაშორისო სიტუაციის გაუმჯობესებას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შესაძლებელია და საჭიროა კიდეც.

უმჯობესია დისკუსია, კამათი, პოლემიკა, ვიდრე ერთმანეთის განადგურების ეერგული გეგმების შედგენა. მთლად უკეთესი კი ის იქნება, განვაგრძოთ კონსტრუქციული დიალოგი, რათა მივაღწიოთ ყველასათვის მისაღებ შედეგს.

საუბარში მონაწილეობდნენ ე. ა. შევარდნაძე, ა. თ. დობრინინი, ს. თ. ახრომეევი, ი. ვ. დუბინინი, ჯ. ფ. მეტლოკი, პ. ნიტეე და რ. რიჯუეი. (საკდესი).

შაბათობა გვიხმობს

- ერთ დღეში — თვის დავალება
- მაღაროელთა ფვლილი
- შრომითი აქტიურობის ვითარებაში
- ჩამორჩენის დასაძლევად

◆ **სამეცნიერო**-საწარმოო „ელვას“ სამეცნ ი ე რ ო ქვეგანაყოფის ინჟინერ-კონსტრუქტორები პირველად მოაწყობენ კომუნისტურ შაბათობას ავტომატიზებულ სამუშაო ადგილებზე. ისინი იმუშავებენ თანამედროვე ელექტრონულ-გამო თ ვლითი მანქანების, მათი დახმარებით მძლავრი ენერგობლოკებ ი ს ავტომატიზაციის ა თ ვ ი ს განკუთვნილი კომპლექსების ნახაზებისა და სქემების შესადგენად ნავარაუდევია, ერთ დღეში შესრულდეს სამუშაოები, რომლებსაც სულ ერთი წლის წინათ მთელი თვე დასჭირდებოდა.

◆ **ონი.** ჩორდის ბარიტის მაღაროთასამმართველოს შრომითი კოლექტივი საწარმოო პოტენციალისა და რესურსების რაციონალური გამო

მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი

(გაგრძელება)

გარდაქმნის არსი გულისხმობს სწავლების შინაარსის სრულ განახლებას, მისი იდეიურ-თეორიული დონის ამაღლებას, თანამედროვე მეთოდების ფართოდ დანერგვასა და ცხოვრებასთან მისი კავშირის განმტკიცებას. ყველა ფორმით მიმდინარეობს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიის ნოვატორული პოლიტიკის საკვანძო საკითხების გაღრმავებული შესწავლა. მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ათვისება მიზნად უნდა ისახავდეს საზოგადოების განვითარების ახლანდელი ეტაპის — რევოლუციური და ყოველმხრივი გარდაქმნების, საპროგრამო მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძოლის რეალური პრაქტიკის გაგებას. კომუნისტების, ყველა მშრომელის მიერ ღრმად შეგებული ყრილობის იდეები, რომლებიც დაეუფლა მათს გონებასა და ხორცი შეისხა კონკრეტული საქმეებით, განსაზღვრავს ჩვენი განვითარების მიმდინარეობას, უზრუნველყოფს ქვეყნის თვისებრივად ახალ მიჯნებზე გაყვანას.

ახალი მოთხოვნების შესაბამისად იცვლება სწავლების ლოგიკა. მეცადინეობაზე უნდა განვიხილოთ ქმედითობა მთელი მისი კონკრეტული მრავალფეროვნებით, მრავალმხრივობით, წინააღმდეგობრიობით, მუდმივი მოძრაობით. მტკიცედ უნდა მოვიშოროთ თავიდან წარსულზე ცალმხრივი აქცენტი, აბსტრაქტული თეორიული მსჯელობა, უზრუნველვყოთ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირით თეორიის შესწავლა. „ცხოვრებისა და პრაქტიკის თვალსაზრისი, — ხაზგასმით აღნიშნა ვ. ი. ლენინმა, — შემეცნების თეორიის ძირითად და უპირველეს თვალსაზრისად უნდა იქცეს".

ყოველნაირად გავაძლიეროთ ცოდნის პრაქტიკული უკუგება. მსმენელს ვასწავლოთ იმუშაონ ახლებურად, საქმის ცოდნით გაუძღვნენ მეურნეობას, უნარიანად მართონ, გამოჭუმუშოთ მათ თავიანთი შრომისადმი, როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი საქმის ნაწილისადმი, შეგნებული დამოკიდებულება.

გარდაქმნათ პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ორგანიზაციული სტრუქტურა. თავიდან მოვიშოროთ უამრავი ფორმა, რაციონალურად გამოვიყენოთ მათგან ისეთები, რომლებიც უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიისა და პოლიტიკის, თანამშრომლობა მათი მტკიცე ინტერესის განვითარების მიზნით აგრეთვე ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მასობრივი პროპაგანდის ფორმები: სახალხო უნივერსიტეტები, ლექტორიუმები, კონფერენციები, პოლიტიკური წიგნის კლუბები და სხვ.

კიდევ უფრო ვითარდება სწავლების ორგანიზაციის დემოკრატიული პრინციპები. ახალი სისტემა კომუნისტებსა და კომკავშირელებს აძლევს ფართო შესაძლებლობებს შეიკრიბონ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი და სხვა ცოდნა. სწავლების აუცილებლობა შეხამებულია ფორმებისა და რეკომენდებული კურსების ნებაყოფლობით არჩევასთან. მარქსისტულ-ლენინური განათლების რაციონალურ სტრუქტურას, სკოლებისა და სემინარების რაოდენობასა და დაკომპლექტების წესს, მსმენელთა შემადგენლობას განსაზღვრავენ პარტიული ორგანიზაციები კვალიფიკიური პროპაგანდისტების არსებობის, სასწავლო-მატერიალური ბაზის მდგომარეობის, მშრომელთა საწარმოო და საზოგადოებრივი მუშაობის ხასიათის, მათი განათლების, პოლიტიკური, ეკონომიკური, პროფესიული მომზადების დონის გათვალისწინებით. თუ საჭირო, უნდა შეიქმნას პოლიტიკური სკოლები და სემინარები, სადაც ერთად ისწავლის ბრიგადის, უბნის, ფერმის ყველა წევრი.

ასათვისებელ რაიონებში, დაშორებულ უბნებზე, ნავთობსარეწებში, გეოლოგიურ-სადაზვერვო პარტიებში, სამომთაბარეო მეცხოველეობაში, სეზონური ან მოძრავი ხასიათის შრომის მქონე საწარმოო კოლექტივებში მომუშავე კომუნისტებისა და უპარტიოებისათვის სწავლების ფორმებს, მეთოდებსა და ვადებს განსაზღვრავენ შესაბამისი პარტიული ორგანიზაციები.

პოლიტიკური სკოლები და სემინარები მუშაობენ, წესისამებრ, ქალაქში 1 ოქტომბრიდან 1 ივნისამდე, სოფლად — 1 ნოემბრიდან 15 აპრილამდე. სასწავლო წელი მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებსა და მათს ფილიალებში გრძელდება I სექტემბრიდან 1 ივნისამდე, მეცადინეობის დღეებს ადგენენ ადგილობრივი პარტიული კომიტეტები.

III. ეკონომიკური სწავლება კადრების პოლიტიკური აღზრდის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე, მეურნეობრიობის თანამედროვე მეთოდებზე გადასვლა, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების გავრცელება მოითხოვს ახალ მიდგომას კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისადმი, მათი ეკონომიკური აზროვნების ფორმირებისადმი. წარმოების მზარდი დონის, ეკონომიკის გარდაქმნის შესაბამისად, ხელახლა უნდა ვასწავლოთ მილიონობით მშრომელს, მოვამზადოთ მუშაკები, რომლებშიც შეხამებული იქნება დიდი პროფესიონალიზმი, პოლიტიკური სიმწიფე და ეკონომიკური წიგნიერება.

პრაქტიკის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, მასობრივი ეკონომიკური სწავლება უნდა დაეუკავშიროთ პროფესიულს, მოვაქციოთ იგი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სახელმწიფო სისტემაში. იგი უნდა გახდეს უმნიშვნელოვანესი რგოლი უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემისა, რომელიც ქვეყანაში ყალიბდება. მხოლოდ ასე შეგვიძლია დღეს უზრუნველვყოთ მუშაკთა კომპეტენტურობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, ნიადაგ ვავსებდეთ და სრულვყოფდეთ კონკრეტულ ცოდნას ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის, შრომის მართვისა და ორგანიზაციის, სოციალური საკითხების გადაწყვეტის დარგში.

მუშათა და ინჟინერთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და პერიოდული გადამზადება სასწავლო-საკურსო კომბინატებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ფაკულტეტებზე, ინსტიტუტებსა და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში ორგანულად უნდა ივსებოდეს უშუალოდ საწარმოებში, გაერთიანებებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში უწყვეტი საწარმოო-ეკონომიკური სწავლების სხვადასხვა მუდმივმოქმედ ფორმაში მშრომელთა სისტემატური სწავლებით.

ასეთი სწავლების ძირითადი ფორმები ხდება:

სოციალისტური მეურნეობრიობის სკოლები. ისინი იქმნება კომუნისტური შრომის სკოლების ნაცვლად და ყალიბდება ბრიგადების, საამქროების, ფერმების კოლექტივების, ან ერთი პროფესიის მუშაკების ბაზაზე. მუშებთან და კოლმეურნეებთან ერთად ამ სკოლებში შეიძლება იმეცადინონ ძირეული სამეურნეოანგარიშიანი შრომითი კოლექტივების ან იმ კოლექტივების შემადგენლობაში შემავალმა ბრიგადირებმა, ოსტატებმა, სპეციალისტებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ მათს მუშობას;

საწარმოო-ეკონომიკური სემინარები და ტექნიკურ-ეკონომიკური ცოდნის უნივერსიტეტები, რომლებიც იქმნება ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერი მუშაკების, სპეციალისტების, სამეურნეო ხელმძღვანელებისათვის.

მიზანშეწონილია ფართოდ იქნეს გამოყენებული პრაქტიკით შემოწმებული მასობრივი საწარმოო პროპაგანდის ეფექტიანი ფორმები: ხარისხის ჯგუფები და წრეები, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებები და კლუბები, საზოგადოებრივი ეკონომიკური და საკონსტრუქტორო ლაბორატორიები, კონოლეტორიუმები და სხვ.

საწარმოო-ეკონომიკური სწავლება ხორციელდება კომპლექსური სასწავლო პროგრამებით, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ კადრებმა აითვისონ პარტიის ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, მართვის მეცნიერების თანამედროვე მიღწევები, მეურნეობრიობის ახალი მეთოდები ინტენსიფიკაციის პირობებში, პრაქტიკულად დაეუფლონ წარმოების ეფექტიანობის გადიდების სამეურნეოანგარიშებრივ ბერკეტებს, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულების ანალიზის, კონკრეტული სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის, საუკეთესო საბჭოთა და საზღვარგარეთული გამოცდილების გამოყენების ჩვევებს.

ეკონომიკური სწავლება უნდა ხორციელდებოდეს დიფერენცირებული ტიპობრივი სასწავლო პროგრამების საფუძველზე, რომლებიც ადგილებზე ზუსტდება საწარმოთა სპეციფიკისა და მოსწავლეთა შემადგენლობის თავისებურებათა შესაბამისად.

უახლოეს წლებში რეკომენდებულია შემდეგი ეკონომიკური კურსები:

წარმოების ინტენსიფიკაცია და შრომის ნაყოფიერება.

სახალხო მეურნეობის ახალი რეკონსტრუქცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე.

მეურნეობის გაძლოლის ახალი მექანიზმი და ეკონომიკის მართვა.

პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესება დაჩქარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

რესურსდაზოგვა მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანი მეთოდია.

სრული სამეურნეო ანგარიში, თვითთანაზღაურება და თვითდაფინანსება.

სახელმწიფო საწარმო: დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა, თვითმმართველობა.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი მექანიზმი.

საწარმოო-ეკონომიკური სწავლების დაგეგმვისა და ორგანიზაციისათვის, მისი ხარისხისა და შედეგიანობის გაუმჯობესებისათვის მთელი მუშაობა ეკისრებათ სამინისტროებსა და უწყებებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს, საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირულ ორგანიზაციებს და ხორციელდება პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობით. მიიჩნევენრა ამ სასწავლებლად შეიქმნას საჭირო ბირთვები ეკონომიკური განვითარების ეგზემპლარული ობიექტებზე, ფართოდ გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებამ, ეკონომიკურმა განყოფილებამ, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პოლიტიკური განათლების საკავშირო სახლმა უნდა განსაზღვრონ პარტიული ორგანიზაციები ექსპერიმენტების მოწყობისა და პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების მეთოდიკის შემდგომი დამუშავებისათვის. სისტემატურად იმსჯელონ მიღებულ შედეგებზე, ფართოდ გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებამ, ეკონომიკურმა განყოფილებამ, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პოლიტიკური განათლების საკავშირო სახლთან და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიასთან, სახალხო მეურნეობის აკადემიასთან ერთად უნდა გადაამუშაონ სასწავლო გეგმები და პროგრამები, მომზადონ და გამოსცენ 1988/89 სასწავლო წლისათვის სახელმძღვანელობები, სასწავლო და მეთოდიკური დამხმარე სახელმძღვანელობები ახალი კურსების შესასწავლად. ისინი უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი იდეურ-თეორიული დონით, სწავლების ახალი ლოგიკის შესაბამისი თხრობით, აქტუალურობითა და კონკრეტულობით, ცხოვრებასთან თეორიის კავშირით, არგუმენტირებითა და მისაწვდომობით, ხატოვანი და პოპულარული ენით.

პროგრამების, სასწავლო ლიტერატურის შემუშავებაში უნდა ჩაებათ წმყვანი მეცნიერები, სპეციალისტები, მაღალკვალიფიციური მეთოდისტები, პრაქტიკული მუშაკები, საუკეთესო პროპაგანდისტები. პერიოდულად მოვაწყოთ კონკურსები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიისა და პოლიტიკის ყველაზე აქტუალური პრობლემების შესასწავლად სახელმძღვანელოთა შექმნისათვის, უზრუნველყონ ამ მუშაობის ფართო საჯაროობა.

ლიტერატურის, კინოფოტოდოკუმენტების, თვალსაჩინოების საშუალებათა მომზადება და გამოცემა ხორციელდება პერსპექტიული დაგეგმვის საფუძველზე. დროულად უნდა შეეტანოთ ძირითად და დამხმარე სახელმძღვანელოებში ცვლილებები და დამატებები ახალი პარტიული დოკუმენტების გათვალისწინებით. დავნერგოთ გამოსაცემი სასწავლო ლიტერატურის ფართო განხილვა.

წესად უნდა იქცეს: კურსები შემოვიღოთ მხოლოდ მაშინ, როცა შემუშავებულია შესაბამისი პროგრამები და გამოცემულია სახელმძღვანელოები. ძირითადი კურსების შესასწავლად მიზანშეწონილია გაძოვუშვათ დამხმარე სახელმძღვანელოთა კომპლექტები, რომლებიც ქრესტომათიის სახელმძღვანელოებთან ერთად შეიცავენ სავარჯიშოებისა და ამოცანების კრებულებს, პლაკატებს, დიაპოზიტივებს, დიაფილმების შენარჩევებს.

გავაფართოოთ იმ კრებულების მომზადება, რომლებშიც შედის მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ნაწარმოებები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტები ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის, სოციალისტური საზოგადოების მართვის, პარტიის საგარეო პოლიტიკისა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის, მასების აღზრდის საკითხებზე. გავზარდოთ მარქსისტულ-ლენინური განათლების მეთოდიკის პროპაგანდის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური საფუძვლების ამსახველი ლიტერატურის გამოშვება. შეექმნათ ქვეყნის საუკეთესო პროპაგანდისტებისადმი მიძღვნილი ბიბლიოთეკა.

ტაბობრივი პროგრამების, ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების, თვალსაჩინო ბეჭდვითი მასალების, ხმოვანი და ეკრანული ინფორმაციის მატარებლების, პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის ზოგადი მეთოდიკური ნაკვლევებისა და რეკომენდაციების მოსამზადებელი მთელი მუშაობის ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და ორგანიზაცია ეკისრებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებას, ეკონომიკურ განყოფილებას, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პოლიტიკური განათლების საკავშირო სახლს. ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებისა და პროგრამების მომზადების მეთაური ცენტრები უნდა იყვნენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტი და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. მიზანშეწონილია ამ მუშაობაში ჩავაბათ უმაღლესი პარტიული სკოლები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემია, საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი კომკავშირული სკოლა.

მეთოდიკური დამხმარე სახელმძღვანელოების, უწინარეს ყოვლისა, ადგილობრივი ხასიათის საცნობარო-საინფორმაციო მასალების შემუშავებას, მოწინავე პრაპაგანდისტული გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას ეწევიან პარტიული კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლები და კაბინეტები.

საწარმო-ეკონომიკური სწავლების სისტემის სასწავლო-მეთოდიკური უზრუნველყოფა დაეკისრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის აკადემიას, სსრ კავშირის პროფესიული განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის პროფესიული განათლების სახელმწიფო კომიტეტს, დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო პროფსაბჭოს.

სსრ კავშირის გამსახკომმა, პოლიტგამმაცდამ, გამომცემლობებმა „პრავდამ", „პლაკატმა", „მოლოდაია გვარდიამ", „მისლმა", „ეკონომიკამ", „მეცნიერებამ", პროფგამმა, აგრომრეწვგამმა, დარგობრივმა გამომცემლობებმა, სსრ კავშირის სახკინომ, სრულიად საკავშირო ფირმა „მელოდიამ", სტუდიამ „დიაფილმმა" უნდა გაზარდონ ოპერატიულობა და სახელმძღვანელოებისა და სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურის, თვალსაჩინო ბეჭდვითი, ეკრანული და ბგერითი დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემის ხარისხი. გაზოუშვან დოკუმენტური და სასწავლო ფილმების სერია მოწინავე პროპაგანდისტული გამოცდილების ნაზსახე.

სწავლების მეცნიერულ-მეთოდიკურ უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეტანონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა. ეურნალებმა „კომუნისტმა", „პარტიინაია ჟიზნმა", „გაზეთებმა „პრავდამ", „სოვეტსკაია როსიამ", „ეკონომიჩესკაია გაზეტამ", „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიამ", „სტროიტელნაია გაზეტამ", „სელსკაია ჟიზნმა", „სოვეტსკაია კულტურამ", „უჩიტელსკაია გაზეტამ", აგრეთვე სხვა ცენტრალურმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა, დარგობრივმა და სამეცნიერო გამოცემებმა, პრესის ადგილობრივმა ორგანოებმა რეგულარულად უნდა გამოაქვეყნონ თავიანთ ფურცლებზე მასალები, რადიომ და ტელევიზიამ მოაწყოს პროპაგანდისტებისა და მსმენელებისათვის გაფთალისწინებული გადაცემები. გამართონ მათთვის საკავშირო სატელევიზიო ლექტორიუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიისა და პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე, რამლებსაც სწავლობენ პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემაში.

მასწავლებლების, პროპაგანდისტებისა და პარტიული აქტივის უფრო სრული ინფორმირების მიზნით გაითვალისწინონ გამოცემების „არგუმენტი ი ფაქტი", „გლობუსი", „ნტრ: პრობლემი ი რეშენია" — ტირაჟების გაზრდა.

არსებითად უნდა გარდაიქმნას ეურნალ „პოლიტიჩესკიე სამოობრაზოვანიეს" მუშაობა, დაეფალოს მას გამოაქვეყნოს მეთოდიკური მასალები პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემისათვის. რედაქციების ყურადღება უნდა მიეპყროს პარტიული ორგანიზაციებისადმი, პროპაგანდისტებისა და მსმენელებისადმი ქმედით დახმარებას კოდნის იდეიურ-თეორიული და მეთოდიკური დონის ამაღლებაში, განათლების ორგანიზაციასადმი თანამედროვე მიდგომის დანერგვაში, მუშაობის მოწინავე გამოცდილების სისტემატურ გაშუქებაში. გაიზარდოს ეურნალის გამოშვება წელიწადში 12-დან 18 ნომრამდე. დაერქვას მას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეურნალი „პოლიტიჩესკოე ობრაზოვანიე".

საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახალხო მეურნეობის აკადემიამ, უმაღლესმა პარტიულმა სკოლებმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტმა, პროფკავშირული მოძრაობის უმაღლესმა სკოლამ და უმაღლესმა კომკავშირულმა სკოლამ უნდა აწარმოონ პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ეფექტიანობის გამეჩხერებული კვლევა. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მეთოდიკის აკადემიური ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და სოციოლოგიის საკითხების შემუშავებას პროპაგანდისტულ საქმიანობასთან მიმართებაში. ოპერატიულად დანერგონ სკოლებისა და სემინარების მუშობის პრაქტიკაში კვლევის შედეგები.

V. სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება

პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ახალი ამოცანები მოითხოვს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებითს განმტკიცებას. ეს მუშაობა უნდა გახდეს ინფორმატიკისა და ელექტრონიკის უახლესი საშუალებებით იდეოლოგიური ორგანიზაციების აღჭურვის, იდეოლოგიის, მეცნიერებისა და კულტურის თანამედროვე ტექნიკური ბაზის შექმნის შესახებ სკკპ XXVII ყრილობის მითითებების რეალიზაციის ორგანული ნაწილი.

განხორციელდეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია პროპაგანდისა და სწავლების ტექნიკური საშუალებათა წარმოების ძირეული გაუმჯობესება, მათი ხარისხისა და სამედოობის ამაღლება, ნომენკლატურის მოწესრიგება, ახალი აპარატურის შემუშავება და გამოშვება. მიმდინარე ხუთწლედში შეუდგეს ჰოლიტიკური და ეკონომიკური სწავლებისათვის განკუთვნილი ვიდეოკასეტების, ტრანსპარანტების წარმოებას. სრულიად საკავშირო საწარმოო შემოქმედებითი გაერთიანების „ვიდეოფილმის" ბაზაზე მოაგვაროს სასწავლო ვიდეოპროგრამების გამოშვება. შეამციროს ბეჭდვითი თვალსაჩინოების საშუალებების, სასწავლო-მეთოდიკური ფილმების, დიაპოზიტივების, დიაფილმების, გრამფირფიტების მომზადებისა და ტირაჟირების ვადები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებამ და საქმეთა მმართველობამ შეიმუშაონ პარტიული კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის კომპლექსური პროგრამა. უზრუნველყონ ისინი საჭირო გასამრავლებელი, ვიდეოსაპროექციო და სატელევიზიო-სადისპეიო ტექნიკით, კინოფოტოლაბორატორიებითა და მასალებით, განახორციელონ კომპიუტერიზაციის ღონისძიებანი. შეიმუშაონ სსსრ-ის აუდიტორიებისა და კაბინეტების აღჭურვის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივები. უზრუნველყონ პარტიული ბიბლიოთეკების მოწყობილობით ცენტრალიზებული ი მომარაგება, გაუთმჯობესონ წიგნის ფონდების დაკომპლექტება. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პარტიის სოფლის რაიკომების პოლიტიკური განათლების კაბინეტებს. განამტკიცონ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პოლიტიკური განათლების სრულიად საკავშირო სახლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტების შენობების, პოლიტიკური განათლების სახლების დაპროექტების, შენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს გაითვალისწინონ სწავლების ტექნიკური წაშუალებებით კომპლექსური აღჭურვა. სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ კადრების სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. თითოეულ შრომითს კოლექტივში უნდა იყოს სასწავლო კლასები, კარგად გაფორმებული აუდიტორიები და კაბინეტები. მეცადინეობისათვის გამოყოს საუკეთესო ოთახები, გამოიყენონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, კულტურის სახლები და სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები. საზოგადოებრივი დანიშნულების შენობათა პროექტებში შეიტანონ განყოფილება „იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა", რომელიც შეიცავს მეთოდიკური კაბინეტების, სასწავლო და სალექციო აუდიტორიების შექმნასა და აღჭურვას.

განახორციელონ ღონისძიებანი პროპაგანდის ტექნიკური საშუალებებითა და სადემონსტრაციო მასალებით ვაჭრობის სრულყოფისათვის. 1988 წელს დაამთავრონ რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრებში პოლიტიკური და ეკონომიკური ლიტერატურის, მეთოდიკური დამხმარე სახელმძღვანელოების, დიაფილმების, დიაპოზიტივების, გრამფირფიტების ვაჭრობის სპეციალიზებული მაღაზიების შექმნა. ქალაქებსა და დიდ რაიონულ ცენტრებში გამოყონ ტექნიკური საშუალებების გაყიდვისა და მყიდველთა საკონსულტაციო მომსახურების საბაზო მაღაზიები.

გახსნან სწავლების აპარატურისა და ტექნიკურ საშუალებათა გაქირავების პუნქტები, მოაგვარონ მათი ცენტრალიზებული რემონტი.

მოაწყონ 1988 წლიდან პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლებისათვის განკუთვნილ თვალსაჩინო და ხმოვან საშუალებებზე ხელმოწერა, უზრუნველყონ მათი დროული მიწოდება. გააფართოონ საქონლის ნუსხა, რომლის შეძენის უფლება სასწავლო მიზნით ეძლევათ პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ კომიტეტებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, საბაზრო ფონდიდან. უნაღდო ანგარიშსწორებით.

გაუთმჯობესონ სწავლების ტექნიკურ საშუალებათა წარმოების დაგეგმვა და სრულყონ მისი მაჩვენებლების სისტემა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიან და წლიურ გეგმებში. ტექნიკური საშუალებების, ხმოვანი და თვალსაჩინო საშუალებების შემუშავებასა და წარმოებაში, აპარატურისა და ინფორმაციის მატარებელთა ახალი ნიმუშების აპრობაციაში სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობის კოორდინაციისათვის, ამ დარგში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობისათვის სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შექმნან პროპაგანდისა და სწავლების ტექნიკური საშუალებათა დარგობრივი ცენტრი.

VI. პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფა

მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების გარდაქმნის ძირეული საკითხია პარტიული ხელმძღვანელობის კარდინალური გაუმჯობესება. მისი აზრი ის არის, რომ თითოეული პარტიული ორგანიზაცია — რესპუბლიკური დაწყებული და პირველადი დამთავრებული — იჩენდეს ნოვატორობას, შემოქმედებას, ცხოვრობდეს ძიების ატმოსფეროში, აქტიურად იბრძოდეს XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა განხორციელებისათვის. მტკიცედ ახორციელებდეს მარქსისტულ-ლენინური გაანალიზების შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების განახლების გზს და გადაჭრით მიუახლოვდეს იგი რეალურ პრაქტიკას, დღეს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს. უნდა მივაღწიოთ, რომ დაჩქარებისა და გარდაქმნის იდეები ეუფლებოდეს კომუნისტთა, ყველა მშრომელის გონებას, ხდებოდეს მათი ცხოვრების საქმე და აზრი.

არსებითად უნდა შეიცვალოთ დამოკიდებულება პოლიტიკური სწავლების, როგორც უაღრესად ძლიერი ბაზის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ეფექტიანობის ამაღლებისადმი. გავაძლიეროთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, ოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, უწინარეს ყოვლისა, მათი კოლეგიალური ხელმძღვანელობა — პლენუმებისა [illegible] პასუხისმგებლობა, რათა შეიმუშაონ გააზრებული გადაწყვეტილებანი და შეასრულონ ისინი, განახორციელონ მარქსისტულ-ლენინური განათლებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობა.

კადრების თეორიული მომზადებისა და იდეურ-ზნეობრივი წრთობისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ პირველ მდივნებს. ნორმად უნდა იქცეს, როცა პარტიული კომიტეტების მდივნები, განყოფილებათა გამგეები, სხვა მუშაკები პირადად გამოდიან მეცადინეობებზე, მონაწილეობენ საუბრებში, უპასუხებენ მსმენელთა კითხვებს. იზრდება პარტიული კომიტეტების დარგობრივ განყოფილებათა როლი მშრომელთა ეკონომიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობაში. მათ არ უნდა დაუშვან მაგივრობის გაწევა და ნიადაგ უნდა წარმართავდნენ და აკონტროლებდნენ სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოების საქმიანობას, უწევდნენ მათ საჭირო დახმარებას.

პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ეფექტიანობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობაში ძირითადი რგოლი უნდა გახდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები. მათი საქმიანობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ მსმენელებთან ცოცხალ მუშაობაზე, მიღებულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული შესრულების ორგანიზაციაზე, პროპაგანდისტთა ინიციატივის მხარდაჭერაზე,, შემოქმედებითი ძიების წახალისებაზე. გავაძლიეროთ მომთხოვნელობა, განვახორციელოთ ქმედითი კონტროლი სწავლებისადმი, მოვისმინოთ სკკპ წევრთა ანგარიშები იდეურ-თეორიულ დონის ამაღლების შესახებ, რეგულარულად მოვაწყოთ გასაუბრება. ნამდვილი გარდატეხა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სწავლებაში შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითოეული კომუნისტი შემოქმედებითად დაეუფლება პარტიის თეორიასა და პოლიტიკას, მტკიცედ და განუხრელად იხელმძღვანელებს ამით თავის საქმიანობაში.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა შესწავლის მაგალითი უნდა აჩვენონ კომუნისტმა ხელმძღვანელებმა, პარტიული აპარატის მუშაკებმა. ისინი უნდა გამოირჩეოდნენ იდეური სიმტკიცით, დიდი პოლიტიკური კულტურით, კომპეტენტურობით, პირადი მაგალითით, ადამიანთა შთაგონების უნარით, მტკიცე მორალური მრწამსით, მუდმივი მოთხოვნილებით ურთიერთობა იქონონ მასებთან, იცხოვრონ ადამიანთა ინტერესებითა და საჭიროებებით.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი წრთობისადმი, განუვითარონ მას პოლიტიკური ცოდნის ინტერესი, გაადიდონ ამ საქმეში კომკავშირის კომიტეტების, პროფკავშირებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების როლი და პასუხისმგებლობა.

პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ცენტრალური რგოლია პროპაგანდისტულ კადრებთან მუშაობა. პროპაგანდისტული კორპუსი უნდა შეიკვლოს ფართო ერუდიციის ადამიანებით, რომლებმაც იციან თეორიისა და მასებთან ურთიერთობის ყადრი, შეუძლიათ ანალიზურად და არასტანდარტულად ინაზროვნონ, დასაბუთებულად დაიცვან კომუნისტური იდეალები, უკომპრომისო ბრძოლა აწარმოონ მტრული იდეოლოგიისა და მორალის წინააღმდეგ, შინაგანად დარწმუნებული იყვნენ პარტიის XXVII ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, გადაქმნის კურსის საარსებო აუცილებლობაში. ამ მუშაობაში აქტიურად უნდა ჩაებან ავტორიტეტიანი მეცნიერები და სპეციალისტები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები. უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ომისა და შრომის ვეტერანთა გამოცდილება და ცოდნა.

ყველგან შეიქმნათ პროპაგანდისტული კადრების მომზადებისა და გადამზადების მწყობრი სისტემა. ამისათვის უფრო სრულად გამოვიყენოთ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების შესაძლებლობანი. გავაუჯობესოთ პოლიტგანათლების სახლებში, კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებში ორკვირიან კურსებზე პროპაგანდისტთა სწავლების ხარისხი. შეიუნარჩუნოთ მათ ამ პერიოდში საშუალო-თვიური ხელფასი. ფართოდ დაენერგოთ პროპაგანდისტთა მომზადება ძირითადი სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ, სწავლება ვაწარმოოთ პარ

მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი

(დასასრული)

...გავზარდოთ პარტიის პასუხსაგებ... დავალების შემსრულებელი პროპაგანდისტების ავტორიტეტი. ...ხელშეშყობა პირობები შევუქმნათ შემოქმედებითი მუშაობისათვის, სრულყოფოთ მათი მორალუ...რი და მატერიალური სტიმულირება. გავაფართოოთ „კულტურის დამსახურებული მუშაკის“ წოდების სიუკეთესო პროპაგანდისტებისათვის მინიჭების პრაქტიკა. უფრო სრულად გავითვალისწინოთ მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებისას. მივიცეთ მათ შეხვედრა, წესისამებრ, სწავლისაგან თავისუფალ დროს, დავნერგოთ ტურისტული მოგზაურობა მეცადინეობიან საფუძველზე.

1988 წელს მოვაწყოთ პროპაგანდისტთა პირველი სრულიად საკავშირო შეკრება.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და კომკავშირის ამოცანები სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა მიხედვით ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაძლიერებისათვის

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ი. მირონენკოს მოხსენება

საკავშირო ალკკ XX ყრილობა შეეკრიბა საბჭოთა საზოგადოების განვითარების გარდამტეხ ეტაპზე. ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის იდეები სულ უფრო ღრმად აღწევს საზოგადოებრივ შეგნებაში, ეუფლება ადამიანს, აღორძინებს მათს სოციალურ აქტიურობასა და მატერიალური ძალა ხდება.

ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა მძლავრი იმპულსი მისცა გარდაქმნას. ქვეყანამ დაიწყო მისი ახალი ეტაპი. ფართო ფრონტით გაიშალა სიახლით უპრეცედენტო მუშაობა, რომლის მიზანია სოციალისტური საზოგადოების ღრმა გარდაქმნა.

პლენუმზე გამოსვლისას მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ „... გარდატეხის ფაზს, ყველაზე ძნელი, ყველაზე გაბედული ამოცანების გადაწყვეტისას, პარტია მუდამ მიმართავდა კომკავშირს, ახალგაზრდობას, მათს ენთუზიაზმსა და სოციალიზმის საქმის ერთგულებას, მოდუნებისადმი შეურიგებლობას, პროგრესულს ქომაგობას. და დღეს, როცა ვლაპარაკობთ დემოკრატიული ცვლილებების საჭიროებაზე, გარდაქმნის ამოცანათა გადაწყვეტაში ხალხის რეალური მონაწილეობის გაფართოებაზე, ახალგაზრდა თაობის პოზიციის საკითხი უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ განვლილმა ორმა წელმა, კომკავშირში დამთავრებული საგარეო-საარჩევნო კამპანიის შედეგებმა მერამდენედ დაადასტურა ლენინის ის აზრი, რომ ნოვატორთა პარტიას ყველაზე დიდი ალისთან მიაყვება ახალგაზრდობა. მან მხარი დაუჭირა პარტიის ნოვატორულ, რევოლუციურ კურსს, დრომოჭმული ფორმების მსხვრევას, ახალ აზროვნებას, საქართველოს დემოკრატიზაციას. ...ს მოსწონს ადამიანებისადმი, ...ახალგაზრდობისადმი ნდობა, მათს ...ინტერესებსა და ინიციატივაზე ...ყრნდობა.

...აქტიური მონაწილეობა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, ქვეყ...ის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში — ეს მიზანია კომკავშირს თავის მთავარ ...ნაზედ. მთელი კომკავშირის, თითოეული კომკავშირელი ორგანიზაციის ადგილია ახალგაზრდობის ...ანგარიში, ხაზგასმით აღნიშნა ...ტარმა, გარდაქმნის ყველაზე ...ელ, ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე.

...წელს სრულდება დიდი ოქტომ...ის სოციალისტური რევოლუ...ციის 70 წლისთავი. სოციალიზმმა ...ახალგაზრდობას მისცა ის, რის ...ეცემა კაპიტალიზმს არ ძალუძს, — ცხოვრების მიზანი და აზრი. ...ან შთაგონა თავისუფლებისა და ...ანასწორობისათვის, სოციალური ...ამართლიანობისა და საზოგადოებრივი პროგრესისათვის, ჩაგვრის, ...ექსპლოატაციისა და ეროვნული ...უფლებობის წინააღმდეგ ბრძოლის დიადი იდეა.

ახალგაზრდობა უაღრესად დაინტერესებულია იმით, რომ ჩვენს საზოგადოებაში მკვიდრდებოდეს სოციალისტური საწყისები, რომ ვითარდებოდეს ხალხის სოციალისტური თვითმმართველობა.

ილაპარაკა რა საანგარიშო პერიოდის გაკეთილებზე, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა თქვა: კომკავშირელების, ქალიშვილებისა და ახალგაზრდების უმრავლესობამ გარდაქმნა მოქმედებისათვის მოწოდებად აღიქვეს. ბევრი კომკავშირელი, ათიათასობით კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივი საკავშირო ალკკ XX ყრილობას შეხვდა და დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შესაბამისად ...ზადება სწავლასა და შრომაში ...ოპოვებული კარგი შედეგებით. ...ობიექტურად ეფასებთ რა დღეს ...ახალგაზრდობის წრეში მიმდინარე პროცესების მთელ სირთულეს, ...ინააღმდეგობრიობას, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ საზოგადოების განვითარების ამ რთულ ეტაპზეც ახალგაზრდა ადამიანთა ...ბრავლობამ ჩაიბარა იდეური ...ეწამსისა და ზნეობრივი პოზიციების სიმტკიცის გამოცდა.

...განვლილ ხუთწლედებში, აღნიშნა მოხსენებელმა, არც ერთი ...ადი სახალხო-სამეურნეო თუ სოციალური ამოცანა არ გადაწყვეტილა ახალგაზრდობისა და კომკავშირის მონაწილეობის გარეშე: ...ს არის ბამისა და მაგნიტოელექტ...ი გაზსადენების მშენებლობა, ...ერდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონების ...თვისება, რუსეთის აფრაზამოწყობიადგილიანი ზონის აღორძინება. ...ბევრმა კომკავშირელმა ორგანიზაციამ ამ დიდ საქმეებში განიცადა ავტორიტეტი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამან ვერ ...ეაჩერა ნეგატიური ტენდენციების ზრდა. ყრილობისწინა დისკუსიამ ახალგაზრდობის აღზრდაში, კომკავშირის მუშაობაში არსებული სერიოზული პრობლემებიც გამოამეღავნა. გამოვლინდა ღრმა წინააღმდეგობანი ხელმძღვანელობის ორგანიზაციის დემოკრატიულ ხასიათსა და ბიუროკრატიულ მეთოდებს შორის, აბლისადმი ახალგაზრდობის მისწრაფებასა და ათწლეობით გაქვავებულ მუშაობის ფორმებს შორის. ბევრ კომკავშირულ ორგანიზაციაში ფესვი გაიდგა ფორმალიზმმა. საანგარიშო პერიოდში ბოლომდე ვერ შესრულდა საკავშირო ალკკ XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანა — დაგვეძლია რიგების ზრდის ციფრებით მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შენიღბვის ტენდენცია, აღინიშნა მოხსენებაში. კომკავშირის მრავალ პრობლემას პირდაპირ წარმოშობდა ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების ნდობა, უწინარეს ყოვლისა, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის სტილი.

ახალგაზრდობაზე, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებამაც, ნაკლოვანებების მიჩქმალვამაც, სოციალური საჭიროებისათვის ნარჩენი სახსრების გამოყოფის პრინციპამაც, მოდუნების თავისებურმა იდეოლოგიამ და ფსიქოლოგიამ, განსხვავებამ სიტყვასა და საქმეს შორის.

გარდაქმნა კომკავშირში, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, ეს არის კომკავშირული ორგანიზაციების გამოსვლა ინერტულობისა და მოდუნების მდგომარეობიდან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, ახალი ადამიანის ფორმირებისათვის ბრძოლის მოწინავე უბნებზე, ცოცხალ, ყოველდღიურ, მოუსვენარ მუშაობაში ახალგაზრდობის ჩაბმა.

დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ თითოეულ კომკავშირელს ესმოდეს ჩვენი კავშირის ფუნდამენტური საფუძვლები.

თუ არ არის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, თუ არ არის შეგნებული დისციპლინა, არ არის და არც შეიძლება იყოს ახალგაზრდის კომუნისტური კავშირი. კომკავშირში გარდაქმნა უნდა დავიწყოთ საკუთარი თავით. ეი თავისთავად არ მოხდება.

სად არის დაჩქარებისათვის ბრძოლის მოწინავე უბნები? საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ეს, უწინარეს ყოვლისა, არის საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. მონაწილეობა ძლიერი სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში, ადამიანის ფაქტორის გააქტიურება — ახალგაზრდა ადამიანის განუწყვეტელი განათლება, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და მისი სულიერი სამყაროს გამდიდრება, ჯანსაღი ცხოვრების წესი.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის ბრძოლის წინა ხაზი გადის ყოველ საშუშაო ადგილს, თითოეულ ახალგაზრდა ადამიანის შეგნებაში.

ჩვენ გვინდა, რომ კომკავშირი თითოეული ახალგაზრდა ადამიანისათვის საქმით იყოს აღზრდის ლენინური სკოლა, სოციალისტური დემოკრატიის, კოლექტივიზმის, სახელმწიფოო და ეროვნული საქმეების მართვაში მონაწილეობის სკოლა.

დემოკრატიზაცია გარდაქმნის მთავარი მიმართულებაა. იგი უნდა შეეხოს კომკავშირის ცხოვრების ყველა მხარეს. პირველად ორგანიზაციას, კომკავშირის კომიტეტს უფლება აქვს საერთო ამოცანების საფუძველზე თავად აირჩიოს ფორმებისა და მეთოდების მთელი არსენალიდან ის, რაც ყველაზე ეფექტიანად მიაჩნიათ.

მუშაობის ახალ პირობებში განუზომლად იზრდება პირველადი ორგანიზაციის პასუხისმგებლობა. იგი პასუხს აგებს შრომისა და სწავლისადმი კომკავშირელთა დამოკიდებულებისთვის, მთა მიერ საკავშირო ალკკ წესდებათა შესრულებისათვის. არც ერთი კომკავშირელი არ უნდა გამორჩეს მას მხედველობიდან. არც ერთი გადაცდომა არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი. დიდი ვალდებულებანი დიდი უფლებების მეორე მხარეა.

გარდაქმნა მოითხოვს ღრმა ცვლილებებს თავიდან ბოლომდე არჩევითი კომკავშირული ორგანოების მუშაობაში. უნდა დავიწყოთ თავი ფორმირებით. პირველად კომკავშირულ ორგანიზაციას უფლება აქვს თავად წყვეტდეს საკითხს, ვინ ჩაუდგება მას სათავეში. იძულებით წინამძღოლებს არ ირჩევენ, ხოლო თუ ირჩევენ, მათ არ მიჰყვებიან.

კომკავშირში საარჩევნო სისტემების დემოკრატიზაციის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი შეიძლება გახდეს ფარული კენჭისყრა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალური კომიტეტების, კომკავშირის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების არჩევისას შესაბამისი კომიტეტების პლენუმებზე, რა თქმა უნდა, თუ მათ წევრებს ეს საჭიროდ მიაჩნიათ. ყველა კომკავშირის კომიტეტმა უნდა ისწავლოს მუშაობა სრული საჯაროობის ვითარებაში.

კომკავშირში გარდაქმნის ძირეული საკითხია კომკავშირულ კადრებთან მუშაობის გაუმჯობესება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი გვაჯალებს უკომპრომისოდ ვებრძოლოთ კომკავშირულ მუშაკთა და აქტივისტთა საქმიანობასა და ქცევაში არსებულ ნაკლოვანებებს. უყოყმანოდ უნდა მოვიშოროთ თავიდან ისინი, ვინც არ უფრთხილდება ახალგაზრდობის ნდობას, იჩენს მორალურ უზმინდურობას.

ახალ პირობებში პირველი, რაც ჩვენ უნდა ვქნათ, — ეს არის საბოლოოდ გარდავქმნათ კომკავშირული კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი კომკავშირული სკოლის, ზონალური, რესპუბლიკური კომკავშირული სკოლების, ახალგაზრდობის ცენტრის „ოლიმპიელის“ მუშაობა. კომკავშირულ პრაქტიკას სჭირდება მეცნიერულ ექსპერიმენტებზე დაფუძნებული ახალი გაბედული იდეები.

სერიოზულად უნდა გამოვიკვლიოთ კომკავშირის ისტორია, მთელი მისი სირთულით, ამასთან არ გავაუბრალოოთ საკითხი და ბოლომდე ვთქვათ სათქმელი, თანაც არ მივმართოთ ფალსიფიკაციასა და სენსაციას. კომკავშირული მშენებლობის თეორია მჭიდროდ უნდა მიეუახლოვოთ გარდაქმნის პრაქტიკას.

ამ პრობლემების გადაჭრაში დიდია საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიასთან და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული ახალგაზრდობის პრობლემათა მეცნიერული კვლევის კოორდინაციის საბჭოს როლი. მომწიფდა საკითხი შეიქმნას ქვეყანაში სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც შეისწავლის ახალგაზრდობის პრობლემებს, და გამოიცეს შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალი.

ახალი პირობები მოითხოვს ახალგაზრდობას ჩამოუყალიბდეს ახალი ეკონომიკური აზროვნება, საზოგადოებრივი წარმოების ბატონ-პატრონის გრძნობა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარება მილიონობით ქალიშვილსა და ჰაბუკს აძლევს რეალურ შესაძლებლობას გამოიყენოს თავისი ნიჭი, ცოდნა, დამკვიდრდეს საზოგადოებაში.

პრინციპულად, ახლებურად უნდა მივუდგეთ კომკავშირის კომიტეტების მონაწილეობას სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში. შეჯიბრება უნდა ახასიათებდეს კომკავშირული მუშობის ყველა ფორმას.

ილაპარაკა რა ახალგაზრდობის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ახალი ფორმების განვითარებაზე, მომხსენებელმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ სტუდენტთა რაზმების გამოცდილების გამოყენებით შესაძლებელია უკვე უახლოს დროში შეექმნათ ახალგაზრდობის ნებაყოფლობითი შრომითი გაერთიანებების ერთიანი სამეურნეოთანგარიშიანი, თვითთანაზღაურებადი სისტემა და ერთმმართველობით მოვაწყოთ არა მარტო სტუდენტთა, არამედ მუშათა, სოფლის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა, ახალგაზრდა სპეციალისტთა შრომა.

ლენინური კომკავშირის ისტორია განუხრელად არის დაკავშირებული ახალშენებლობებთან. ათეული წლების მანძილზე იქმნებოდა შეფობის ტრადიციები, იხვეწებოდა მისი ფორმები და მეთოდები. ამავე დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნა — ბოლო მოეღოს ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას დამკვრელური კომკავშირულ მშენებლობებისადმი, არ შესრულებულა.

ქალიშვილები და ჰაბუკები გულისტკივილითა და შეშფოთებით გვწერენ, რომ სსრ კავშირია ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის მრეწველობის სამინისტროს, ურალ-ციმბირის რაიონებში მშენებლობის სამინისტროს, ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და მთელი რიგი სხვა სამინისტროების მშენებლობებზე ცოტა რამ იცვლება, კვლავინდებურად ჯეროვნად არ ზრუნავენ ადამიანებისათვის, ხელმძღვანელები კვლავინდებურად მუშტრულად ეკიდებიან ახალგაზრდობას, უყაირათობასა და არაორგანიზებულობას ნიღბავენ დამატებითი შრომითი რესურსების გამოყენებით.

ჩვენ, თქვა შემდეგ ორატორმა, ვაყენებთ წინადადებას დავიწყოთ თანამედროვე საწარმოების და ქალაქების მშენებლობის ექსპერიმენტი — კომკავშირულ მშენებლობებზე მოვსინჯოთ პროგრესული სოციალური, ეკონომიკური, არქიტექტურული, ქალაქთსამშენებლო, მეცნიერულ-ტექნიკური ნაშუშევრები. ჩვენი აზრით, ასეთ მშენებლობებად უნდა გამოვაცხადოთ ისეთი ობიექტები, რომლებსაც მორთლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარებისათვის, უპირატესად ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის, რუსეთის არაშავმიწანადაგიანი ზონის რაიონებში.

სოფლად ახალგაზრდობის შემცირების ძველი ტენდენცია შეგვიძლია დავძლიოთ და კიდევაც უნდა დავძლიოთ. ამ საქმეში შეინიშნება ძვრები, მათ შორის ლენინური კომკავშირის საშეფო რუსეთის არაშავმიწანადაგიანი ზონის ბევრ რაიონშიც.

სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის გაზრდის საკვანძო ფაქტორია უწონარეს ყოველსა კოლექტიური ჯარა, სამეურნეო ანგარიში, ინტენსიური ტექნოლოგიები.

პარტია ენერგიულ, ნოვატორულ ღონისძიებებს ახორციელებს, რათა გააძლიეროს ეკონომიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ათვისების უნარი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში კომკავშირის მონაწილეობა მიმდინარე ხუთწლედში ბევრ მათგანში ...ეფექტიანობა ...ეკონომიკური ...ეფექტიანობა ...ეფექტიანობა ...ეფექტიანობა

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და კომკავშირის ამოცანები სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა მიხედვით ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაძლიერებისათვის

(დასასრული)

ჩვენს პოლიტიკურ სისტემაში ახალგაზრდობის ინტერესები და სპეციფიკური მოთხოვნები წარმოდგენილია კომკავშირის მეშვეობით, რომელსაც მინიჭებული აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, და საბჭოების ახალგაზრდა დეპუტატების მეშვეობით, რომელთაგან ბევრი კომკავშირელია.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო და საზოგადო საქმეების მართვაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესაძლებლობები მთლიანად არ გამოიყენებოდა.

საჭიროა ვეძებოთ კომკავშირისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოებში შექმნილი ახალგაზრდობის საქმეთა კომისიების ერთობლივი მუშაობის უფრო ეფექტიანი ფორმები.

ახალგაზრდობაში მუშაობის გაუმჯობესების დიდი რეზერვები აქვთ სამინისტროებსა და უწყებებს. ბოლო წლებში მათი ურთიერთმოქმედება კომკავშირთან რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ იგი ძირითადად ერთობლივი დადგენილებების მიღებით გამოიხატებოდა.

ახალგაზრდობის მდგომარეობასა და უფლებებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში უზრუნველყოფს თითქმის 2 ათასი საკანონმდებლო აქტი და მთავრობის დადგენილება. მოქმედი კანონმდებლობის მოცულობას ყოველწლიურად მრავალი ახალი ნორმატიული აქტი ემატება. მაგრამ ეს კანონები და აქტები ხშირად არ სრულდება, ახალგაზრდობის უფლებებისა და მისი კომუნისტური აღზრდის ინტერესებს კომკავშირი ჯერჯერობით ძალიან ცუდად იცავს.

ქვეყანაში ახალ ეტაპს განიცდის ქალთა მოძრაობა. კომკავშირის ამოცანა ის არის, რომ გამონახოს ადგილებზე ქალთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმები. აქ განსაკუთრებით გამოგვადგება 20-30-იან წლებში ახალგაზრდა ქალებთან კომკავშირის მუშაობის ისტორიული გამოცდილება. ახალგაზრდებს უნდა განვუვითაროთ ქალაშვილის, ქალის, დედის ღირსი პატივისცემა.

დასასრულ ორატორი შეეხო ყრილობისწინა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისა და სრულიად საკავშირო ალკკ წესდებაში შეტანილი ცვლილებებია პროექტის განხილვის შედეგებს. განვლილი კრებებისა და კონფერენციების განმასხვავებელი თავისებურება, ხაზი გაუსვა მან, გახდა ის, რომ ისინი უფრო დემოკრატიულად, კომკავშირელების მეტი აქტიურობით მოეწყო. საჯაროობის, გულახდილობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფეროს შექმნას ხელი შეუწყო იმან, რომ კომკავშირელებს წინასწარ გააცნეს საანგარიშო მოხსენებების ძირითადი დებულებები, რომ იყო აზრთა თავისუფალი გაზიარების შესაძლებლობა. მარტო პირველად ორგანიზაციებში კრებებსა და კონფერენციებზე კომკავშირის 2,5 მილიონზე მეტი წევრი გამოვიდა.

ლენინური კომკავშირის, ყოველი კომკავშირული ორგანიზაციის მთელი საქმიანობის გარდაქმნას მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც შემოთავაზებულია წესდებაში შესატანად. მაში დამკვიდრებული პრინციპები და ნორმები წარმოადგენენ შიდაკავშირო ცხოვრების საფუძველს, უზრუნველყოფენ კომკავშირის ყველა რგოლის მიზანდასახულ მუშაობას კომუნისტური პარტიის საპროგრამო ამოცანების შესრულებისათვის.

წესდების პროექტში მკვიდრდება ნორმები, რომლებიც ხელს უწყობენ შიდასაკავშირო დემოკრატიის შემდგომ გაღრმავებას. არსებითი ცვლილებები განიცადა წესდების დებულებებმა კომკავშირული ორგანოების არჩევნების მოწყობის შესახებ.

იზრდება მოთხოვნები არჩევითი კომკავშირული ორგანოების წევრებისადმი. პროექტის განხილვის დროს სამართლიანად ითქვა, რომ, თუ კომკავშირის კომიტეტის წევრი ვერ ამართლებს კომკავშირელთა ნდობას, იგი ვერ უნდა რჩებოდეს მის შემადგენლობაში.

მთლიანად წესდების პროექტში ბევრი პრინციპული დამატებაა შეტანილი. წესდების შემოთავაზებული ახალი რედაქცია უბრალოდ მისი მორიგი სრულყოფა როდია. კომკავშირის მთელი ისტორიის მანძილზე კომკავშირული ცხოვრების ძირითად კანონს ასეთი ცვლილებები ჯერ არ განუცდია.

პროექტის განხილვის დროს გამოითქვა მრავალრიცხოვანი წინადადებები, რომლებიც, უთუოდ უნდა იყოს გათვალისწინებული სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრაქტიკულ მუშაობაში და ნორმატიულ დოკუმენტებში.

ლენინურ კომკავშირს სახელოვანი ისტორია, მდიდარი ტრადიციები აქვს. იგი ყოველთვის პატიოსნად ემსახურებოდა პარტიასა და საბჭოთა ხალხს, ჩვენ არაავის წინაშე და არაფრის გამო არა გვაქვს დასახრელი თვალი. ჩვენ თამამად გავცქერით წარსულსაც და მომავალსაც. ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად განვაგრძობთ ოქტომბრის დიად საქმეს. გარდავქმნით ჩვენს ცხოვრებას, რათა იგი უფრო სასიხარულო, ნათელი და სუფთა იყოს, რათა უფრო ადვილად სუნთქავდეს ალალ-მართალი მშრომელი, რათა უფრო ფართო ასპარეზი გადაეშალოს შემოქმედებითს შრომას, რათა თითოეულის ნამდვილად თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობა იყოს.

თაობათა ესტაფეტაში დადგა ჩვენი რიგი მოვემზადოთ რევოლუციის დროშის ხელში ასაღებად. ეს დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ დიდი პატივიც არის. მაშ, მოდით, ვიყოთ მისი ღირსი, მეგობრებო! (ტაში).

(საკდესი).

ნიკოლოზ ესაკია

ოთხმოცდაერთი წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა ინჟინერი, საშენებლო წარმოების დიდი ორგანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ნიკოლოზ მიხეილის ძე ესაკია.

ნ. მ. ესაკია დაიბადა ქალაქ ფოთში 1906 წელს, რევოლუციონერ-დემოკრატის მიხეილ ბესარიონის ძე ესაკიას ოჯახში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეკნიკური ფაკულტეტისა და მოსკოვის სამთო აკადემიის დამთავრების შემდეგ 1932 წლიდან ნიკოლოზ მიხეილის ძე ესაკია გახდა მოსკოვის მეტროპოლიტენის ერთ-ერთი პირველმკვლევარი. აქ მან განვლო გზა ცვლის ინჟინრიდან მიწისქვეშა სადგურების „წითელი კარიბჭის“ (ამჟამად „ლერმონტოვის“), „მაიაკოვსკის“, „ნოვოსლობოდსკაიას“ მშენებლობის უფროსამდე.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე კომუნისტი ნ. მ. ესაკია წარმატებით მეთაურობდა საგანგებო დავალების შესრულებას — მოსკოვში უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის მშენებლობას, ხელმძღვანელობდა გვირაბების ზერთული ტრასისა და ფართოლაინდინი რკინიგზის მშენებლობას სოხუმ-გაგრის უბანზე, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიის დაცვაში.

ფასდაუდებელია ნ. მ. ესაკიას წვლილი თანამედროვე მშენებლობისეიანაც კი რეკორდულ ვადებში ფაშისტების მიერ მოსკოვის ოლქის დანგრეული შახტების, ბოდებისა და გვირაბების აღდგენაში, ახალი ობიექტების მშენებლობაში. პირველ ომისშემდგომ წლებში ნ. მ. ესაკია, საბჭოთა მთავრობის დავალებით, ნაყოფიერად მუშაობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენაზე.

ბევრი ენერგია, ცოდნა და ძალ-ღონე მოახმარა ნ. მ. ესაკიამ ქვეყანაში მეტროპოლიტენის მშენებლობის განვითარებას სსრ კავშირის მთავარგვირაბმეტრომშენის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე ყოფნისას.

მაგრამ ნ. მ. ესაკიას ცხოვრებაში მთავარი საქმე იყო ი. ვ. კურჩატოვთან და ს. პ. კოროლიოვთან თანამეგობრობით დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის უნიკალური კომპლექსების შექმნა. დიდი წვლილი შეიტანა მან ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სახალხო მეურნეობის განვითარებაშიც.

მთავრობის ამ დავალებათა წარმატებული შესრულებისათვის ნ. მ. ესაკიას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის წოდება, დაჯილდოდა სამი ლენინის ორდენით.

ნიკოლოზ მიხეილის ძე ესაკიას ხელმძღვანელობით სამხოელთა კოლექტივის მიერ შექმნილი ნაგებობანი უპრეცედენტოა მსოფლიო პრაქტიკაში, წარმოადგენენ საინჟინრო ხელოვნების საოცრებასა და ადამიანის მამაცობის სიმბოლოს.

ნ. მ. ესაკიას ცხოვრების უკანასკნელი წლები დაკავშირებულია საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის განვითარების საეტაპო პერიოდებთან. 1970-1978 წლებში იგი მეთაურობდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, შემდეგ კი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე იყო თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის კონსულტანტი და მთავარი ტექნოლოგი.

კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე კომუნისტი ნ. მ. ესაკია გვიჩვენებდა დაკისრებული საქმის ერთგულების, უდიდესი პასუხისმგებლობის, ხალასი ნიჭისა და თავმდაბლობის მაგალითს. ნიკოლოზ მიხეილის ძე ესაკია გულუხვად ახმარდა თავის ნიჭს ხალხობლოს, პარტიისა და ხალხის მსახურებას, აღზარდა მრავალი შესანიშნავი სპეციალისტი.

ნ. მ. ესაკიას დამსახურება, დიდად დაფასეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. იგი დაჯილდოებულია მრავალი სახელმწიფო ჯილდოთი, მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ წოდება. იგი არჩეული იყო სკკპ XXIV, საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობების დელეგატად, საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, ნიჭიერი ხელმძღვანელის, შესანიშნავი ადამიანის ნიკოლოზ მიხეილის ძე ესაკიას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ა. ბრეჟნევი, ვ. ი. ალავიძე, ბ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, ბ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, ბ. დ. მგელაძე, ბ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზიშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, ბ. ბ. გუმბარიძე, ბ. ხ. ემირიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, თ. ი. მოსაშვილი, ფ. ხ. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე, ა. ნ. გლურჯიძე, დ. ვ. მანჯგალაძე, ბ. ზ. მირიანაშვილი, ბ. ა. ზატუაშვილი, ი. ბ. რახმანინოვი, ო. ი. ბლიაძე, ვ. დ. გოცირიძე, ა. ი. დათაშვილი, შ. დ. კიკნაძე, ბ. ს. ნიკოლაიშვილი, ზ. პ. მახარაძე, დ. ბ. მხეიძე, ი. ა. ხარაბიშვილი, ი. ე. ჭიდია, ვ. ვ. ჭელიძე, ბ. ი. ჩოგოვაძე, ვ. ა. ციხარიშვილი.

გაერთიანება „საქმიდროენერგომშენის“ და ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს კოლექტივები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

ნიკოლოზ მიხეილის ძე ესაკია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ARჩევნების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანიაში დაიწყო დიდმნიშვნელოვანი ეტაპი — დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. სრულად იყენებენ რა საარჩევნო პრაქტიკის დემოკრატიზაციის ფართო შესაძლებლობებს, რომლებსაც გვანიჭებს მოქმედი კანონმდებლობა, შრომითი კოლექტივებისა და საცხოვრებელ ადგილას გამართულ კრებებზე, როგორც წესი, განხილავენ რამდენიმე კანდიდატურას.

თბილისი. თბილისის მეტროპოლიტენის ელექტროდეპოს წითელ კუთხეში გამართულ კრებაზე დაასახელეს ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები. განსახილველად დაასახელეს სამი კანდიდატურა — პ. ა. კალაშვი, მ. ვ. დოხნაძე, ვ. ზ. სტრუკოვი.

სამივე მრავალი წელია მუშაობს ელექტროდეპოში. კვალიფიციური სპეციალისტები, გამოცდილი ზეინკლები არიან. მრავალი კეთილი სიტყვა ითქვა კრებაზე კანდიდატთა მისამართით, მაგრამ კოლექტივმა თავისი არჩევანი შეაჩერა ახალგაზრდა ინიციატივიან მუშაზე პ. ა. კალაშვილზე, რომელიც ახლახან სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღეს. ხმების უმრავლესობით ელექტროდეპოს კოლექტივმა გადაწყვიტა რეკომენდაცია მისცეს მას დაასახელონ დეპუტატობის კანდიდატად.

ოქტომბრის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას მიეძღვნა კრება ბეჭედვითი სიტყვის კომბინატის საამწყობო საამქროში. აქტიურად ჩაიარა საამქროს კოლექტივის კრებამ, რომელზეც ასევე დაასახელეს სამი კანდიდატურა: ინჟინერი ლ. პ. წიქარიშვილი, ქიმიური ლაბორატორიის უფროსი ც. ა. კვიტატიანი, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ვ. გ. ზოსიმოვა. ღია კენჭისყრით უპირატესობა მიანიჭეს ც. ა. კვიტატიანის გამოცდილებასა და ავტორიტეტს.

ფცხეთა. მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოში მოეწყო სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. გულახდილი, დაინტერესებული განხილვის დროს საწარმოს მუშებმა და მოსამსახურეებმა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს სამი კაცი, სამივე მძღოლია: ა. შ. გვრიტიშვილი, თ. მ. ხატისოვი, მ. ი. მენალარიშვილი. ხმათა უმრავლესობით დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს თ. მ. ხატისოვი.

ასევე გაცხოველებით განიხილეს საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურებიც. აქაც მიეცათ უფლება სამი კანდიდატიდან აერჩიათ უფრო ღირსეული. უმრავლესობამ ხმა მისცა წარმოების უფროსს გ. ა. მამულაშვილს.

(საკინფორმი).

საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა პარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან ი. ა. მოწერელია მუშაობაში ნაკლოვანებებისათვის.

პარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია რ. ნ. ნაჭყებია, რომელიც მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების სექტორის გამგედ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ა. ჭითანავამ. (საკინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გათავისუფლა ბ. ს. ჯიჭია პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან პარტიის ზუგდიდის რაიკომის - პ ი რ ვ ე ლ მდივნად მის არჩევასთან დაკავშირებით.

პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ო. მ. ეზუგბაია, რომელიც მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილედ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ა. ჭითანავამ.

15 აპრილი ● საკდესი იუწყება

„გარდაქმნის ლენინური სტრატეგია“

გამოვიდა ქრებული ბულგარულ ენაზე

სოფია. ბულგარეთის კომპარტიის „პარტგამომცემლობამ“ ბულგარულ ენაზე გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებების, სიტყვებისა და ინტერვიუების კრებული „გარდაქმნის ლენინური სტრატეგია“.

წიგნი იხსნება პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებით, რომელიც გაკეთა მ. ს. გორბაჩოვმა. კრებულის მასალებს შორის არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე საბჭოთა ხელმძღვანელის მოხსენება და საბოლოო სიტყვა.

იუწყება რა კრებულის გამოსვლის ამბავს, ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გამოქვეყნებული მასალები მოწმობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დაუცხრომელ საქმიანობას, რომლის მიზანია სსრ კავშირის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნა. წარმოდგენილი დოკუმენტები, აღნიშნავს სააგენტო, ასახავს გარდაქმნისა და დაჩქარების ლენინურ სტრატეგიას, პარტიისა და სახელმწიფოს პრაქტიკული საქმეების მიზანსწრაფულ კურსს, რათა კაცობრიობას თავიდან აიცილონ ბირთვული ომი, შექმნან წანამძღვრები ყოველისმომცველი საერთაშორისო უშიშროებისათვის.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **რომი.** ქრისტიანი დემოკრატი ოსკარ ლუიჯი სკალიფარო ხამშამათს ეწვია პრეზიდენტის სახახლეს და უარი განაცხადა მანდატზე, რომელიც მას გადასცა სახელმწიფოს მეთაურმა ფრანჩესკო კოსიგამ ახალი კაბინეტის შესაქმნელად. ეს უკვე ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის მეორე წარუმატებელი ცდაა აღმოეფხვრა პენინზე გაჩაღებული „ხელისუფლების ვაკუუმი“.

● **ნიუ-იორკი.** საზოგადოებრივი აზრის ახალი გამოკითხვის თანახმად, რომელიც ეი-ბი-სი ტელეკომპანიამ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტთან“ ერთად მოაწყო, ამჟამად ამერიკელთა 65 პროცენტი უნდობლობით ეკიდება თავის პრეზიდენტს.

● **ოტავა.** 1986 წლის ივნისის მონაცემებით, კანადის მოსახლეობამ 25 მილიონ 354 ათასი შეადგინა, იუწყება კანადის სტატისტიკური სამსახური. ხუთი წლის განმავლობაში 1981 წლის ივნისიდან იგი 4,2 პროცენტით გაიზარდა. კანადის უდიდესი ქალაქებია ტორონტო (3,5 მილიონი), მონრეალი (2,9 მილიონი) და ვანკუვერი (1,4 მილიონი).

დამთავრდა კონფერენცია

ვენეცია, ევროპის სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის სამეცნიერო-ტექნიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ინტენსიფიკაციისა და განვითარების გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად იქცა ხამშამათის აქ დამთავრებული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ევროპაში სამაბრო და საგემო ეკონომიკის ქვეყნებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობა“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქმიანი სამყაროს თვალსაჩინო წარმომადგენლები, ბანკებისა და საქციო საზოგადოებათა ხელმძღვანელები, მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები, მათ შორის საბჭოთა დელეგაცია.

კონფერენციის მონაწილეთა საერთო აზრით, ამ წარმომადგენლობითმა ფორუმმა მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი მხარეთა უკეთეს ურთიერთგაგებას, არსებული პრობლემების გადასაჭრელად ეფექტიანი საშუალებების ძიებას. მრავალ გამოსვლაში გამოთქვა რწმენა, რომ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სახელმწიფოებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ხელს შეუწყობს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას ევროპაში.

● ინდოეთი

სეპარატისტთა გამოსდომა

დელი. საზღვარგარეთ მოკალათებული სიკი სეპარატისტები ორშაბათს შეეცადნენ აეფეთქებინათ ინდოეთის ავიალაინერი, რომელიც ნიუ-იორკის ჯ. კენედის სახელობის საერთაშორისო აეროპორტიდან უნდა გამფრენილიყო. თვითმფრინავში 251 მგზავრი იყო. გაფრენამდე ცოტა ხნით ადრე ერთ-ერთი სავარძლის ქვეშ შემთხვევით აღმოაჩინეს ასაფეთქებელი მოწყობილობა. როგორც ინდოეთის პრესა აღნიშნავს, ბანდიტები ამზადებდნენ ისეთსავე დეკერსიას, რომლის შედეგადაც ირლანდიის ნაპირებთან აფეთქდა ინდოეთის ავიალაინერი „კანიშკა“ და დაიღუპა 300-ზე მეტი მგზავრი და ეკიპაჟის წევრი. ოკეანის გაღმა მოქმედი ტერორისტების დანაშაულებრივი აქციები, წერს გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“, შეესაძლებელი გახდა ამერიკის ხელისუფალთა სრული უმოქმედობის გამო,

ნიუ-იორკის აეროპორტში დივერსიის ცდას დაემთხვა სიკი ექსტრემისტების თავდასხმა ინდოელთა ჯგუფზე, რომლებიც მონაწილეობდნენ პაკისტანის ჰასან ანდალის დასახლებულ პუნქტში გამართულ რელიგიურ ცერემონიაში. ინდოეთის ისლამადიანი საელჩოს წარმომადგენელმა ეფორნალისტებს განუცხადა, რომ ეს დანაშაულებრივი გამოხდომა ჩაიფინეს ტერორისტულმა ბანდებმა, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ სიკთა ძირგამომთხრელ დაჯგუფებებთან შეერთებულ შტატებში, კანადასა და ინგლისში.

● აშშ

თეთრი სახლის რეაქცია

ვაშინგტონი. თეთრი სახლის პრეს-მდივნის მოადგილემ დენნელ ჰოვარდმა „საინტერესო“ უწოდა წინადადებებს, რომლებიც წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჯორჯ შულცთან კრემლში გამართული ხუთბრის დროს.

უპასუხა რა ჟურნალისტთა კითხვებს სანტა-ბარბარაში (კალიფორნიის შტატი), სადაც თავის რანჩოში ისვენებს პრეზიდენტი რეიგანი, მან განაცხადა, რომ შეერთებული შტატები „სერიოზულად ეკიდება“ ამ წინადადებებს. ამავე დროს ჰოვარდმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კონსულტაციები უნდა გამართოს თავის მოკავშირეებთან, სანამ პასუხს გასცემდეს ამ წინადადებებს.

● იუგოსლავია

მტრული ძალების აღსაკვეთად

ბელგრადი. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა საკავშირო მდივანმა დ. ჩულაფიჩმა ჩერნოგორიაში პოლიტიკური აქტივის კრებაზე გამოსვლისას ილაპარაკა ქვეყანაში ძირგამომთხრელი ელემენტების გაჯანსაღების შესახებ.

ამკამად, თქვა მან, უფრო აგრესიულად მოქმედებენ ცალკეული პირები და ჯგუფები, რომლებიც მემარჯვენე ბურჟუაზიულ პოზიციებზე დგანან. მტრული ძალების მიზანია იუგოსლავიის საზოგადოების დეზორგანიზაცია, ეროვნებათშორისი კონფლიქტების გამოწვევა, სოციალისტური მონაპოვრებისათვის ძირის გამოთხრა. საზოგადოებრიობამ და, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტებმა, უნდა ამხილონ და აღკვეთონ ამგვარი მოქმედება, განაცხადა საკავშირო მდივანმა.

მან აგრეთვე თქვა, რომ ახალგაზრდობის შორის გახშირდა ნაციონალისტური განწყობილებების გამოვლენა, და რომ მის გაჩაღებაში უკანასკნელ როლს როდი ასრულებენ კლერიკალური წრეები.

16 აპრილი

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.00 — ბავშვებს — მხეცების შესახებ. 9.30 — სრულიად საკავშირო ალკკ XX ყრილობის დღიური. 10.00 — მუსიკალური გადაცემა. 10.55 და 17.00 — ახალი ამბები. 17.15 — დოკუმენტური ფილმი „ფიქრები ზემსუბუქი საფრენი აპარატების თემებზე“. 17.35 — ქ. ვინიციის ფოლკლორული ანსამბლის „კობზარის“ გამოსვლა. 17.45 — „...თქვენსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 18.30 — ახალი ამბები. 18.35 — ჩვენი ბაღი. 19.05 — მულტფილმი დიდებისათვის. 19.15 — სრულიად საკავშირო ალკკ XX ყრილობა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — დოკუმენტური ფილმი. 20.30 — სრულიად საკავშირო ალკკ XX ყრილობისადმი მიძღვნილი პიონერთა დღესასწაული. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „იპოვე და გაიუვნებელე“. 0.05 — სრულიად საკავშირო ალკკ XX ყრილობის დღიური.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — ზოგადი ბიოლოგია. X კლასი. 10.05 და 14.45 — ესპანური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. ისტორია. 11.35 და 12.40 — ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. IX კლასი. 12.05 — საჭადრაკო სკოლა. 13.10 — მხატვრული ფილმი „ქარი“. 15.15 — ახალი ამბები. 15.20 — ა. ი. გერცენი — „ნამყო და ნაფიქრები“. 19.00 — ახალი ამბები. 19.10 — თანამეგობრობა. 19.40 — დედის სკოლა. 20.10 — მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძურიდან. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — რიტმული ტანვარჯიში. 21.45 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ბაბა, თქვენ იცით, ქალაშვილებო!“. 0.30 — ახალი ამბები.



16 აპრილი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფშავი“. 9.30 — საკავშირო ლენინური კომკავშირის XX ყრილობის დღიური (მ.). 10.00—მოამბე. 15.00—საინფორმაციო გამოშვება. 15.15 — ამიტურინენტთათვის. ბიოლოგია. 15.45 — საბავშვო-იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“. 15.55 — მასწავლებლის საათი. საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 16.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.45 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.15 — რეკლამა. 17.25 — მულტფილმების პროგრამა. 17.55 — „არჩევნების შესახებ“. 18.15 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“. 19.15 — „საკავშირო ლენინური კომკავშირის XX ყრილობა“ (მ.). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.30 — საკავშირო ლენინური კომკავშირის XX ყრილობისადმი მიძღვნილი პიონერული დღესასწაული (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ქართული მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ჯვაროსნები“. 23.45 — საინფორმაციო გამოშვება. 0.05 — საკავშირო ლენინური კომკავშირის XX ყრილობის დღიური (მ.).

მეორე პროგრამა. 16.15 — სატელევიზიო დადგმა „დამცინავი ბედი ჩემი“. 17.40 — განეხადებები. 17.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „როცა იფურჩქნება დამის დედოფალი“. 18.05 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია.

მატარებელი დედაქალაქში შემოდის

თბილისში 38 სამგზავრო და სამგზავრო-სატვირთო მატარებელი შემოდის და გადის ყოველდღიურად (დიახ, დღიურად — ღამის რეისები სათვალავში არ არის). თითო შემადგენლობაში საშუალოდ ათასი კაცია. ესე იგი ყოველდღიურად 38 ათასი მგზავრი — შინაური და გარეშე, მტერი და მოყვარე ასეთი „პანორამით“ იქმნის შთაბეჭდილებას ჩვენს დედაქალაქზე.



დედაქალაქში შემოსასვლელი სარკინიგზო მაგისტრალების და მათი შემოგარენის ასეთი სურათი აღბეჭდილია გუშინდელი მდგომარეობით. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომები უკვე შეუდგნენ კეთილმოწყობის სამუშაოებს.

ჩვენ მაინც არ გადავდეთ ამ დამალონებელი ფოტოების გამოქვეყნება, რათა მკითხველს საშუალება მიეცეს შეადაროს ისინი იმ ფოტოებს ამავე ადგილებიდან, რომლებსაც უახლოეს ხანში დავბეჭდავთ. მაშინ იოლად დასაკვნის: მხოლოდ დაუდევრობა და უპასუხისმგებლობაა სამარცხვინო შაქტების სათავე.

სურათებზე: ასეთია რკინიგზის მხრიდან შემოლობილი „დათიკოს ბაღი“ ლენინის რაიონის გოგაშენის ქუჩაზე (1);

● ნახევარ კილომეტრზე დიდუბის ს